K 17348/2

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

K 17.348 / 2

ბიბლ

ნინო ნაკაშიძე

ვინ არის დამნაშავე

ფასი 4 მოკავშირეებად

გამომცემლობა „ხელოვნება"

საქართველოს თეატრალური საზოგადოება

899.9 ბ 1-2

ნინო ნაკაშიძე

ვინ არის დამნაშავე

დრამა 4 მოქმედებად

К№.348/2

სპეც-2000
შემოწმებულია

გამომცემლობა „ხელოვნება"

19 თბილისი 48

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოქმედნი პირნი:

სიკო —26—27 წ. ახალგაზრდა შავგვრემანი კაცი. პირველ მოქმედებაში ღარიბულად აცვია ძველი ნაცრისფერი ჩოხა და ფეხზე უბრალო წუღები, თავზე წითელი უბრალო ყაბალახი აქვს. უკანასკნელ მოქმედებაში კი კოხტა წითელი მოსირმული ჩოხა, ყვითელი მესტები და მოსირმული წუღები აცვია, თავზე მაღალი ბოხოხი ჰხურავს.

ფატი —სიკოს ცოლი. 22 წლისა; შავთვალწარბა, ლამაზი, ცოცხალი და ალერსიანი შესახედაობის ქალია. აცვია სოფლურად, მაგრამ მოხდენილად. მეორე მოქმედებაში უფრო მოხდენილად აცვია: მხიარული ფერის კაბა, თავზე მოქსოვილი სამყურა აბრეშუმის „კასინკა“ გურულად, გრძელი თმა აქვს ორ ნაწნავად.

სალიხე—სიკოს დედა, შუახნის გამხდარი, კერპი შესახედაობის დედაკაცი, შავი, სოფლური კაბა აცვია, ფუსფუსა, მოუსვენარი მიხვრა-მოხვრა აქვს და უკმეხი ლაპარაკი. წამდაუწუმ კაბის კალთებს იკრეფს ორთავე მხრიდან. წინ უყრის თავს და ისწორებს.

სოფო—ფატის მეგობარი. 19 წლ. გასათხოვარი, ქერა, ლამაზი ქალი: მეორე მოქმედებაში ძალიან კოხტად აცვია.

არსენა — სიკოს მეზობელი, ახალგაზრდა 25—26 წლის, კოხტა, მხიარული, წაბლისფერი წვერ-ულვაშიანი კაცი. პირველ მოქმედებაში ჩოხა აცვია, მესამეში გურული ტანისამოსი.

მოხუცი — სიკოს პაპა, სრულიად ჭაღარა, გრძელწვერა და გრძელთმიანი; ყრუ და უსინათლო მოხუცი.

ყარამან — 40—50 წ. მხარბეჭიანი, ოდნავ შეჭაღარავებული, გურული ტანისამოსში.

ივანე — 50 წ. დარბაისელი გლეხი.

სალომე — 50 წ. შუამავალი, ფერუმარილიანი.

ჯუფან —მოხუცებული სოფლის ბებია-ქალი.

პატარა ბიჭი, გლეხები, სოფლის დედაკაცები და ბავშვები.

მოქმედება სწარმოებს ჩვენ დროში, სოფლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფ ა ტ ი

რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნატო ვაჩნაძე
კინოსურათიდან „ვინ არის დამნაშავე“ („ულალდ
ვესტის მხედარი“)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხ ი კ ო

კინომსახიობი კოტე მიქაბერიძე
კინოსურათიდან „ვინ არის დამნაშავე“ („უაილდ
ვესტის მხედარი“)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოქმედება I

სოფლის ამწვანებული ეზო. მოაჯირიანი ფიცრული ძველებური სახლი, სახლის წინ დიდი ცაცხვი, ცაცხვის ძირში გრძელი გათლილი ქვა ძევს; ცოტა დაშორებით უკან მეჩვარტლისაგან სრულიად გაშავებული პატარა ჯარგვალი სახლი დგას, სახლები ორივე „ისლით“ დახურულია. ჭიშკრის ახლო ჯარგვლის მხარეს ნალია (სასიმინდე) არის. სახლებ შუა ერთმანეთთან მისავალი პატარა გატკეპნილი ბილიკია, ბილიკია აგრეთვე ეზოს უკანა მხარეს წასასვლელი, რომელიც პატარა სახლს ჩაუდის გვერდით, პატარა სახლის წინ მზეზე ზის თავზე მოსახვევ წაკრული, სრულიად გათეთრებული, ძალზე მოხუცი სიკოს პაპა; მოკუნტულია, თვალები დახუმული აქვს, ხელში კრიალოსანი უჭირავს და ნელა ათამაშებს. ხანდახან ჩიბუხს სწევს. ცაცხვის ქვეშ ქვაზე ზის ფატი, ნელა არწევს აკვანს და ბავშვს უმღერის. ეზოს დაბალი ძველი ღობე აქვს შემოვლებული. ძველი პატარა ჭიშკარი ჰკიდია. ჭიშკართან „ალაგე“ აქვს გაკეთებული.

ფატი (მღერის). „ეს აკვანი ლებანოზი,
შითა მწოლი ანგელოზი;
ნანინაი-ნანასაო.
ეს აკვანი ბჟოლისაო,
შითა მწოლი ბროლისაო;
ნანინაი-ნანასაო.
შვილი სიყვარულისაო,
ბედნიერი დედისაო;
ნანინაი-ნანასაო.

სიკო გამოდის დიდ სახლიდან და ყაბალახის სწორებით მიდის ცოლ-შვილისაკენ. ფატი დაინახავს თუ არა ქმარს, შეაჩერებს აკვანს და რა დარწმუნდება, რომ ბავშვს სძინავსო, დაჩუმდება, ადგება და ეგებება ქმარს ღიმილით.

სიკო. დეიძინა, (მიდის აკვნისაკენ).

ფატი. ვაიმე, სიკო, არ გააღვიძო!

სიკო. არა, არა, ერთს შევხედავ, ერთს, მეტს არ... ჩუმათ, ისე რომ ვერ შეიტყობს (ქმრის ალერსიან შეხედვაზე ფატის თვალები გაუნათლდება და ორივენი მიდიან აკვანთან, სხდებიან, სიკო ჰხდის თავსაფარს ბავშვს და ღიმილით შესცქერის ერთ წუთს).

სიკო (ჩურჩულით). ერთს ვაკოცებ, ერთს... (ცალი ხელით ბავშვის თავსაფარი უჭირავს, მეორეს მოჰხვევს გვერდით მყოფ ფატის, დაიხრება და ფრთხილად ჰკოცნის ბავშვს; შემდეგ სწრაფად მოიხედავს ფატისაკენ) შენც, შენც! (მოიწევს თავისკენ და ჰკოცნის). რაფერ მიყვარხარ, რაფერ, ფატი, ჩემო ფატი... (ფატი ღიმილით თვითონაც ეკვრის; სახლიდან გამოდის სალიხე).

სალიხე. ეჰეი, აგინს უყურე ვინცხამ! ამის დროია ახლა? (ცოლ-ქმარი ერთმანეთს სწრაფად გაშორდებიან. სიკო დარცხვენილის ღიმილით იგრეხს ულვაშს).

სიკო. რავა, ცოლის კოცნასაც დროი უნდა, ნენავ?

სალიხე. დროი უნდა, დროი. მე და ცხონებულმა მამაშენმა ოცდა ათი წელიწადი ვიცხოვრეთ ერთად და ჩვენი კოცნა სულიერ ადამიანს არ უნახავს.

სიკო. დედამთილი არ გეყოლებოდა, ნენავ, თვარა ერთჯელ მაინც რავა არ შემოგესწრებოდა.

სალიხე (ღიმილით). აჰა ამას უყურე ახლა ერთი.

სიკო. აჰა, რაიო, ხომ გაგაწითლე! (ყველანი იცინიან).

სალიხე. ჰე, რა დროის ხუმრობაა, წევიდეთ ერთი დროით, თვარა გვარიანი კაი გზაი გვაქვს გასარები.

სიკო. ეჰ, რა მეზარება ახლა...

სალიხე. რაო? მეზარებაო?..

სიკო. რა ვუყო, ერთი ამ სიღარიბეს რომ ვერაფერი მუუხერხე, თვარა... თლა ტყუილაი კი მივალთ, ნენავ... ფარას გვასესხებს ახლა ჩვენ ფარნაოზაი?

სალიხე. ვინ იცის, ბიჭო, კაი ნამთავნის გულიზა ეგება ქე გაუწყლეს ღმერთი და გეიმეტოს.

სიკო. კი, მარა, ნენავ, აი კაი ნამთავნი სადაა...

სალიხე (აწყვეტინებს). რავა, ფარა თვითან მევიდა, მარა შენ კერიას ვერ სცილდები და...

სიკო. ეჰ, ნენავ, ნეტაი მაგისთანაი ლაპარაკი არ იცოდე, ვერ ვცილდები!.. ხომ იცი, რა ცეცხლში ვარ ამის გამოისობით ჩავარდნილი. მაინც ეშმაკსავით შემომიჩთა იგი შეჩვენებული ყარამანაი; მერე აღარ ვარ კაცი ფიქრით. ვერ გადამიწყვეტია, რაფერ ჯობს? წევიდე, თუ არ წევიდე?

ფატი. რავა, ამაზე ლაპარაკი აღარ გათავდა?

სიკო (ღიმილით). გათავდა, მარა ხომ იცი: ხანდახან კაცს სული წასძლევს და გულს მეიფხანს თქმით... ნენაი მინდა დავაჯერო, რომ...

სალიხე. გზაზე, გზაზე ვილაპარაკოთ, ბიჭო. (ლაპარაკით მიდიან ჭიშკრისაკენ; ფატი უკმაყოფილოდ გააყოლებს თვალს და მობრუნდება ბავშვისაკენ, მაგრამ თითქოს რაღაცა მოაგონდება, სწრაფად გამოუდგება ძახილით).

ფატი. სიკო, სიკო! მობრუნდი ელანზე სიტყვა მაქ (სიკო და სალიხე მოიხედავენ, მაგრამ სალიხე ისევ მიტრიალდება; განაგრძობს გზას. სიკო მიდის ცოლისაკენ).

სალიხე (მიმავალი, შვილს). მე გავყობი და მომეწიე.

სიკო (ფატის). რა კაი ქენი, რომ დამიძახე, შენ ეშმაკო! გინდოდა დავბრუნებულვიყავი! (ხელს გადასდებს მხარზე, უნდა მოეხვიოს. ფატი გამოუსხლტება. ორივენი იცინიან).

ფატი. სიკო, იცი, ბაბუამ ხუცესი მომიყვანეთო, მინდა ვეზიაროვო. ძალიან შეგეხვეწა.

სიკო (შეშინებული). რავა, ავად ხომ არ არის?

ფატი. არა, მარა ისე. მიეხასიათა. მუუყვანე, შენი ჭირიმე, ნუ აწყეინებ.

სიკო. მე, ავად იყო მეგონა; რავა არ მუუყვან, გამეევიარ და წამეევიყვან... ან და უფრო ჩქარა იქნება; აგერ არსენას დუუძახებ. დღეს კვირეა—შინ იქნება...

ფატი. არა, არა, ისევ შენ რომ გამეიარ, მაშვინ წამეიყვანე, არსენას ნუ უძახი.

სიკო (სიცილით). არა ერთი მითხარი, რამ შეგაძულა ასე აი არსენაი, რომ თვალის დასანახავად გეზარება. აი სულ სოფოს გულიზაა. ძალათაი გინდა შეართვიო?.. **აბა,** ჭკვიანად იყავი; მგელი თუ მევიდეს არ შემოუშვა! (ღიმილით მიდის ჭიშკრისაკენ; ფატი აცილებს. სიკო გადადის „ალაგეზე" და სწრაფი ნაბიჯით უნდა .დაეწიოს დეჯას. ფატი უყურებს სანამ თვალს მიეფარება და ბრუნდება სახლისაკენ. ბილიკზე გამოჩნდება სოფო).

ფატი (სიხარულით შეჰყვირებს). აჰ, სოფო! (გაიქცევა. მიეგებება; მოხვევს წელზე ხელს და მოდიან ცაცხვთან ლაპარაკით). აჰ, რა გამიხარდა შენი მოსვლა, სოფო! თლა მარტუაი ვარ: ბიჭიკოს სძინავს, ყაჟი დაპურებული მყავს, ბატონი შინ არ არის... და ვილაპარაკოთ და ვილაპარაკოთ. იცი, ბიჭიკოს ორი კბილი აქვს ახლა. უნდა ნახო, რაფერ დაშვენდა მიორე კბილი. რომ იცოდე, რაფერ უყვარს სიკოს. დღეს... (უცებ სიტყვები გაუშრება პირში, მოძრავ სახეზე თანაგრძნობა და მწუხარება ეხატება. მწუხარებით) სოფო, რეიზა გაქ თვალებში კურცხალი. რაა ასე მოწყენილი სახე რომ გაქ? კიდევ მოხდა რამე? დაჯედი, ჩემო სოფო. აი, აგერ(მოხვევს მეორე ხელსაც და დასვამს ქვაზე, თითონაც გვერდით მოუჯდება და ეალერსება). მითხარი ყორიფელი...

სოფო. ეჰ, (თვალთაგან ცრემლები გადმოსცვივა) ეჰ, ფატი, ჩემი დედ-მამა ჩამციებია გინდა თუ არა, გაფრინდაშვილს უნდა წაჰყვეო: სხვაი გზაი არ გაქო.

ფატი. რავა, აღარ გათავდა აი ამბავი?

სოფო (ტირილით). გუშინ ბაბამ, რომ მისდღემჩი ჩემდა ხელი არ დუუკარებია, მცემა...

ფატი. გცემა?!

სოფო. აჰა, შეხედე (აჩვენებს მკლავებს). ასე მაქ მთელი ტანი დალილავებული.

ფატი. ჩემი სიკვტილი და ქეა? რავა გაგიმეტა ასე, სოფო, მარა...

სოფო. მარა, რაც უნდა მიქნას, თლა ცოცხლითაი რომ მომკლას, სულ ფეხით რომ ჩამომკიდოს, არ წავ-ყობი გაფრინდაშვილს... თვითან მეეიკლავ თავს და...

ფატი. აჰ, თავის მოკლა ღმერთმა დაგიცვას... მარა მაინც რეიზა არ გინდა წაჰყვე გაფრინდაშვილს? იმ დღეს, გიორგობას, საყდარზე ვნახე: კაი ბიჭია. მე ღა ჩემმა ღმერთმა: ახალგაზრდა, ლამაზი, მდიდარი ქე ყოფილა; შენ ქე მოსწონხარ თურმე: ჩივაო, სოფოს მეტი ქალი არ მინდაო—(სოფო ოდნავ იღიმება სიამოვნებით). მეც უნებურათ გამათხუეს...

სოფო. ეჰ, დასურ? შენც ძალითაი?.. არ გინდოდა სიკო?.. მერე?..

ფატი. არა, კი არა კაცს გუულახავარ, მარა უარი რომ მეთქვა, ეგება ქე გეველახე. მე გულში ჩევიკალი უარი.

სოფო (გაფაციცებით). მერე, მერე? მერე რაფერ ცხოვრობ? რავაც შეგირთო სიკომ, მაშვინათე შეგიყვარდა?

ფატი (იღიმება). მაშვინათე... მაშვინათე... (იჭმუხვნება). მაშვინათე... არა... მარა მერე, როისაც... მერე... ერთი სიტყვით—ბალანაი რომ გაგვიჩთა, გული გამომეცვალა... არა, მე თლათ გამეეიცვალე და ახლა, არ დეიჯერებ, ვერ წარმომიდგენია, რომ ჩემი ბუჭუკელაის მამა შესაძლებელი იყო ვინმე სხვაი ყოფილიყო. და ქე მიყვარს ქმარი, სულ ყოველთვის იმაზე ვფიქრობ, სულ მასთან ვარ, მისი ჭირი და ლხინი ჩემ ჭირად და ლხი-

ნად გადიქცა. და ხანდახან ვფიქრობ, რომ მშობლები იქნება მართლებიც არიან...

სოფო (აწყვეტინებს). არა, ფატი, არა: აგი შეუძლებელია, წარმოუდგენელია რამე სიმართლე იყოს ამაში. მარა შენდა ადვილია ამის თქმაი... შენ არა კაცი არ გყვარებია? (ფატი შეკრთება და თავს ჩაღუნავს).

სოფო (ვერაფერს ამჩნევს და განაგრძობს). შენდა ადვილია, და მე კი... (თვალებზე ხელს მიიფარებს და ტირის).

ბიჭი (მოადგება ალაგეს და იძახის). მაინძელლო! (ქალები შეკრთებიან).

ფატი (ადგება და მიდის შესაგებებლად). მობძანდი. (ბიჭი გადმოვა ალაგეზე. ხელში შოლტი უჭირავს და იქით-აქეთ იყურება).

ბიჭი. ძაღლი არ იყოს, მეთქი.

ფატი. არა, ძაღლი იქით არის: დაბმულია. ნუ გეშინია, გამოყევი აქეთ!

ბიჭი (შორიდანვე იწყებს). არსენამ შამუუთვალა სიკოს, ჩემო ბატონოვო, შენი ჭირიმეო, ნუ გეწყინებავო. და, თუ არ გჭირიაო, ხვალ საღამომდი ჩოხის ქილები მათხუეო: სხვაგან მივალ და მჭირიაო. სალიხეს შემუუთვალა კიდევ: ბეოლის ფურცელი თუ გჭირია, შამომითვალე და აღარაკაცს აღარ მივცემო.

ფატი (შეშინებული თავისთვის). ღმერთო ჩემო, რა ვქნა ახლა!

სოფო. რა იყო, ფატი, რამ შეგაწუხა?

ფატი (უკმაყოფილოდ). არსენაი საცხა მივაო და სიკოზა შამუუთვლია—ქილები მათხუეო.

სოფო. ჰო და შუუთვალე, შინ არაა თქვა. (ბიჭს) სად მივა, თუ იცი, ძამიავ, შარით მივა, თუ ზეგნისაკენ?

ფატი (აღელვებით). კი შუუთვალე მარა... (ბიჭს) არც სიკო და არც ბატონი შინ არ გახლავს თქვა და, რავაც მოვლენ, ამბავს დავახვედრებ თქვა. (ბიჭი მიდის. ფატი და სოფო უკან ბრუნდებიან ლაპარაკით).

სოფო. კი არ იცის მაგ შერცხვენილმა ბიჭმა, რომელი გზაით მივა, თვარა გევიქცეოდი და ვითომ შემთხვევით შევხვდებოდი... (ხვნეშის) სად მივა, ნეტაი? ოჰ, ფატი, რომ იცოდე, რაფერ ვიტანჯები: ლურსმანსავით ჩამეჭედა ტვინში და აღარ იქნა იმის გულიდან ამოღება. რომ ვიცოდე უყვარს ვინმე, გულს დავდობდი, რაცხას ვიფიქრებდი. მარა თქვენსას თუ იარება ხანდახან, თვარა არაკაცს არ ეკარება. რომ უყვარდეს ვინმე, რავა, რომელი ქალიშვილია, რომ არ წაყობოდა.

ფატი (აღელვებული. ყოყმანით და დარცხვენით). იცი სოფო... უნდა გითხრა... ერთი სიტყვით... მე ვფიქრობ... უკეთესია... ეგება დასურ უყვარს ვინმე...

სოფო. ჩემი სიკვტილი თუ არ გინდა, ფატი, მაგას ნუ იტყვი. არა, არა: არსენას არა კაცი არ უყვარს, ერჯელ მითხრა, თუ ცოლი შევირთე, შენ მეტს არა კაცს არ შევირთავო... აგი მაძლებიებს ახლა და გულს ნუ გამიტეხ, ფატი... ჩემო ფატი... ერთ ეზოში გევიზარდეთ, და მისი ამბავი არ ვიცი?.. ეჰ, რა ბედნიერი ხარ შენ, ფატი... რომ იცოდე რაფერ მიყვარს... გუშინ, ბაბაი რომ მცემდა, მე არსენაზე ვფიქრობდი და ტკივილს კი არ ვგრძნობდი: რაცხა მწვავი სიტკბოება მიარდა ტანში... (იღიმება) იმის გულიზა ყორიფელს ევიტან: ცეხლზე რომ დამწვან, იგიც მიამება... მითხარი, ფატი, შენც ასე გიყვარს შენი ქმარი?

ფატი (შეკრთება დაბნეულად, მაგრამ თანდათან ხმა უმტკიცდება). ასე?.. არ ვიცი... არა მგონია... არაა კაი ამნაირი სიყვარული. მე... უფრო დამშვიდებით, სიხარულით მიყვარს. მიყვარს თითონ მისი გულიზა, ჩემდა კი არა... მას უყვარდი უწინ ასე მწარედ და აგი საშინელი იყო ჩემდა. მე მგონია, ეგება შენც რომ დეივიწყო; არა, კი არ დეივიწყო მარა რომ შესძლო და შეიყვარო სხვაი

რამეც. ისე სულით და გულით, რომ შენი, თლა შენი სიცოცხლე მარტუაი ამ სიყვარულში არ მოამწყვდიო, მაშვინ ეგება მანც შეგიყვაროს... (ისმის შორიდან ქალის ძახილი: „სოფო, სოფოო! სოფო, სოფოო!..“).

სოფო. ეე, ნენაი მიძახის... ეშინია, თავი არ მეიკ-ლასო, (გასძახის) მუალ, მუალ! (ფატის) ეგება შენ მართალიც იყო, მარა ძალა არა მაქ. (ისმის კიდევ ძახილი: სოფო, სოფოო! სოფო, სოფოო!) (სოფო ისევ გასძახის) მუალ ნენა, მუალ, (სოფო მიდის, ფატი აცილებს. ფატის) შენს მეტი არა სულიერიზა არ მითქვამს აი ჩემი ამბავი ფატი... მშვიდობით! (გარბის ბილიკით. ფატი ერთხანს გასცქერის გამ-ტერებულივით; როცა სოფო თვალს მოეფარება, ნელა მოტრიალ-დება).

ფატი (ჯერ ნელა, მაგრამ შემდეგ უფრო და უფრო აღელ-ვებით). ჰმ, არ გიყვარდაო!.. მიყვარდა, მიყვარდა, მარა ახლა მძულს, მძულს, მძულს!.. ახლა ჩემი ქმარი მიყვარს, სხვაი არა კაცი... ვეტყვი ყორიფელს სოფოსაც და სიკო-საც... მარა რაი, რა უთხრა, რომ არაფერი არ ვიცი, რომ არაფერი არ უთხრობია ჩემდა... მარა იმის თვა-ლები?.. რაფერ მეშინია იმის თვალების... ოჰ, რა მძულს იმის თვალები!.. მძულს კი?.. აჰ, ღმერთო ჩემო, თვითო-ნაც არ ვიცი რას ვჩივი... მარა რას მდევს, რას?.. მარა ეგება მე მგონია, ასე? და ნამდვილათ კი არაფერია? (ხელებს იფარებს სახეზე და ჩაჯდება ბალახებში მიწაზე. ცოტახანს არის ისე, შემდეგ ერთბაშად გამოერკვევა) ეჰ, რა აბდალი ვარ, რასაკვირველია, ჩემი ქმარ-შვილი მიყვარს! (სწრაფად დგე-ბა, მიირბენს აკვანთან, ფრთხილად ჰხდის ბავშვს თავსაფარს და ჰკოცნის, თანაც ნელის ხმით, მაგრამ ღიმილით, ჩურჩულით ეუბ-ნება) ჩემი ბიჭუკელა, ჩემი შვილიკო, ხომ კაი ბაბაი გყავს... ბაბას ჩვენ ვუყვარვართ, ბაბაი მუა... (სახე უხა-ლისდება და ულიმის; ისევ აფარებს თავსაფარს ბავშვს, დგება, ცო-ტახანს დგას სრულიად დამშვიდებული და მხიარული და ნელა

იცინის) წავალ, საკერავს გამევიტან: დღეს გამოვჭრი... ბედნიერი ვარ ბედნიერი და...

(გარბის სახლისაკენ. ეზოში ალაგეზე გადმოდის არსენა, შეჩერდება და შესცქერის ფატის; როცა ფატი სახლში შევა, ის სწრაფად მიდის და ცაცხვს ამოეფარება. ფატი ჩქარა ბრუნდება, ჯდება ცაცხვის ძირას ქვაზე. შლის ჩითს, ჭკეცს, აზომებს ერთმანეთს და მხიარულად ღიღინებს: „ჩემო ციცინათელა, დაფრინავ ნელა-ნელა, შენმა შორ-შორ გაფრენამ, დამწვა და დამანელა"... არსენა ჩუმად გამოდის და თავზე წაადგება).

ფატი (შეჰკივლებს). უი... (აღელვებული) რეიზა მოდი?

არსენა (შეჰყურებს აღტაცებით). შენი ჭირიმე...

ფატი (ცდილობს დამშვიდებას. მკაცრად). ხომ შემოგითვალე, არა კაცი არაა შინ მეთქი და რაღაიზა მოდი?.. მეორე...

არსენა. მეორეს ნუღარ იტყვი, ჩემო ფატი, რა მიხარია, რომ არა კაცი არაა. მე იმიზა მოვედი: განგებაი გამოვგზავნე ბიჭი, მინდა ერთი რამე გითხრა... არა, არა, ნუ იჭმუხვნები: შენ რომ გიამება, იმისთანას გეტყვი, ჩემო ფატი. ყველაზე უწინ შენდა მინდოდა მეთქვა...

ფატი (შეშინებული). არა, არა, ნუ, ნუ, მეტყვი, თუ ღმერთი გწამს... უკაცრავად ვარ, საქმე მაქ. (მოჰკიდებს აკვანს ხელს და უნდა წავიდეს).

არსენა. მეიცადე, ქალო, გამიგონე! ამერიკაში მივალ, ამერიკაში, ხუთი წლით.

ფატი (გახარებული). ეჰ, დასურ?!

არსენა (სევდიანი ღიმილით). რავა გაგიხარდა ჩემი გადაკარქვა, ფატი; ასე გძულვარ და გაწუხებ? გიშლი რამეს?

ფატი (შერცხვენილი თავს ჩაღუნავს). არა... რავა გამიხარდა, მარა... მე ვიფიქრე... ერთი სიტყვით... მართალი გითხრა მწყინობს... ქმარი მყავს, შვილი.

არსენა. ჰო და აჰა მივალ, გათავისუფლებ.

ფატი. ძალიან მადლობელი ვარ... მარა სოფო არ გებრალება?

არსენა. სოფოც გათხოვდება და ქმარი შეუყვარდება...

ფატი. არა, არა, სოფო არაა ამისანაი... მარა წასვლას როის აპირობ?.. სოფოსთანაი ქალი სანთლით საძებარია და...

არსენა (მოუთმენლად). სანთლით საძებარი თუა, ეძებოს ვისაც უნდა. მე არ მებრალება. მეც არა კაცს არ ვებრალები. ორი წელიწადია მინდა ერთი ხმაი გაგცე, დაგელაპარაკო და... (ფატი გაიწევს სახლისაკენ წასასვლელად; არსენა წინ გადეღობება) არ გაგიშობ, არა. ერთი სიტყვა მომისმინე! (უნდა ხელი მოჰკიდოს). განა მე...

ფატი (ეძახის მოხუცს). ბაბუ, ბაბუ, მობრძანდით აქეთ, სტუმარია.

მოხუცი (მიიდგამს თვალებზე ხელს). რაო, სტუმარიაო? მოდი ბაბუავ, მოდი, წამიყვანე! (ისმის ღობეს გადაღმა ქალის სიცილი და რამოდენიმე ადამიანის ლაპარაკი).

ფატი. ვაიმე მოდიან!.. (უცებ დასწვდება აკვანს და სწრაფად შევა სახლში).

არსენა (გასცქერის მიმავალს). აჰ, ნეტაი ვიცოდე რაა შენ გულში!.. (ჭიშკარს აღებენ და შემოდიან სალიხე, სიკო და ყარამან. არსენა მიეგებება და ყველას ხელს ართმევს).

არსენა. სიცოცხლე ყარამანს! როის გვესტუმრე, კაცო, რავა გასუქებულხარ... რომ შამომითვალე სიკოსთან მნახეო, მეც ამოვედი და გიცდი აგერ.

სალიხე. ღმერთო მომკალი, რავა მარტუაი ხარ? ჩემი რძალი არაა შინ?

სიკო (სიცილით). იგი სტუმართან რავა გამუა? ან ბალანასთან იქნება ან ყაჭთან (ყველანი იცინიან).

სალიხე (მხიარული ფუსფუსით დასტრიალებს ყარამანს). დაბძანდით, დაბძანდით; ამ საათში სკამებს მოგართუმთ (უძახის. ფატი, ფატი! ფატი გამოჩნდება კარებში) აბა სკამები, სკამები, სტუმრებია! იმისთანაი ძვირფასი სტუმარი შეგვხვდა, რომ დავბრუნდით (ფატის გამოაქვს ხის ტაბურეტები, დასდგამს და ხელს ართმევს ყარამანს; სახე უკმაყოფილო აქვს. ყველანი სხდებიან. სალიხე სახლში შევა).

სიკო (ფატის). აბა, შენ იცი, რავა დატრიალდები და ერთი კაი ვახშამს გააკეთებ.

ყარამან. არა, სიკო, მე ვახშმად ვერ დავრჩები. უკეთესია მევილაპარაკოთ ბარეღამ საბოლოოდ და საქმე გადავწყვიტოთ. ერთი კვირით ვარ აქეთ ამოსული, მარტში უნდა წავსულიყავი ჩემ საქმეზე და აგერ აპრილი თავდება.

სალიხე (სახლის კარზე მომდგარი). ფატი მოდი, ხილი გეიტანე! (ფატი მიდის და გამოაქვს რგვალი მაგიდა და დააფარებს თეთრ სალფეთქს. შემდეგ ისევ ბრუნდება სახლში, სალიხე და ის რამდენჯერმე შედიან და გამოაქვთ თეფშებით ხილი: მსხალი, ვაშლი, ჩურჩხელები, დოქით ღვინო, ჭიქები და ყველაფერს მაგიდაზე აწყობენ; დოქს ძირს დგამენ. სალიხე მხიარულია, პირი უცინის. სიკო და ყარამან ლაპარაკობენ; არსენა ყურს უგდებს, ლაპარაკში არ ერევა).

სიკო. ერთი დღეი რომ დაგაგვიანდეს, ამით ვითამ რა დაშავდება?

ყარამან. დაშავდება, ძმავ, დაშავდება; ყველას მუუყარე თავი, ახლა სამი კაცი მაკლია. რაცხა ჩემიანებიზა ვცთილობ, თვარა, მოგეცა სიცოცხლე,—ვეხვეწებიან.

სიკო. შენ იგი მითხარი, ყარამან, მართალია, რომ ჩივიან, რკინის გზაი ამერიკის ქალაქში მიწაში მივაო და ზეიდან სახლებია აშენებულიო?

ყარამან. მართალია, ძმავ, მართალი; მარა მაი რა უნდა იყოს: იმისანა სანახავებს ნახავს კაცი, რომ ზოგ-რად არ დეიჯერებ... ცხოვრება იქინეია, ძმავ!

სიკო. ეჰ, რას ჩივი?

სალიხე (უკვე ყველაფერს გამოიტანენ). მობძანდი ბატონო ყარამან, მეიწიეთ სუფრასთან, თქვენი საკადრისი არაა, მარა მიირთვით ხილი. არსენ, რავა გვერდზე გადექი, კაცო? ისე ძვირი სტუმარი ხარ, ვითამ ჩემი შვილობილი არც კი იყო! (ყველანი მიიწევიან და შეეკცევიან ხილს. ფატი მიდის სახლისაკენ).

სიკო. ქალო სად მიხვალ? ერთი ბიჭიკო მომიყვანე აქეთ: ყარამანს უნდა ვაჩვენო.

ფატი. ბიჭიკოს სძინავს.

სიკო. აბა შენ აქანაი დაჯედი, შენ გეიგონე აი საქმე. უშენოთ არ იქნება! (ფატი მორცხვად იღიმება და ჯდება სკამზე შორიახლოს).

სალიხე (გაჯავრებით). აა, საქმის კაცს დამიხედეთ! ცოლშვილი უნდა მეიჯინოს გვერდში და ისე უნდა გადაწყვიტოს საქმე. მოდი ახლა და ნუ გასკდები გულზე, ა! გინახავს, აგია ვაჟკაცობა!? ფუი! საიდან გაჩთი ამნაირი? ცხონებული მამაშენის რამე გამოგყოლოდა მაინც. ნამდვილი ვაჟკაცი იგი იყო. კაჟი იყო თლა, კაჟი, რავარც შეფერის დასურ კაცს. საქმეს რომ გადასწყვეტდა კი არა, რომ გააკეთებდა მერე შევიტყობდი.

ფატი. ვაიმე, ბატონო, რა ამბავია გადასაწყვეტი? რაცხა მაშინებ! (შეშინებული, შემკრთალი ღიმილით იცქირება აქეთ-იქით).

სიკო (თავის ფხანით და უხვრხული სიცილით). არა ნენავ, ახლა იმისანაი დროი დადგა, რომ უქალოდ ვერაფერს გადასწყვეტ.

ყარამან. რავა, კაცო, დასურ რას ვერ გადაწყვეტ? პირობა არ გიყის, თუ ქალს რა უნდა ჰკითხო?

ხიკო. არა, პირობა კი არა, მარა ოჯახი. ხომ იცი —ცოლი, შვილი... ოჯახს ჯერ არ მოვცილებივარ და მარტუაი დატიება რაცხა არ მიჯის ჭკუაში და მიჭირს.

სალიხე (გაცხარებით). ამას უყურე ერთი! ქალი რომ დეინახე, ახლა იმიზა ჩივი ამას? გზაში პირობაზე არ იყავი? (ყარამანს) აა, ასეა, ასე ყოველთვის, შენთან რაღა დავმალო, ჩემო ყარამან! ჩვენი გასაჭირი ენით გამუუთქმელია. მევალეებმა სული ამოგვართვეს; სახლი აწერილი გვაქ, დღეს არა ხვალე გაგვიყიდიან. ცხონებულ ჩემ ქმარს და მე ოცდა ათი წლის განმავლობაში სული კბილით გვეჭირა. წელებზე ფეხს ვიდგამდით და ამაზე მეტი ვერაფერი გავაკეთეთ. რასაც ხედავ, მაინც იმის დანატიებია. აბა ჩემი მამამთილის აშენებული ეგერ იგი ჯარგვალაია და ჯერ ქია შით თვითან. გაყიდვა,—ვინ იყიდის, მარა მაინც არ დაგვანება: აქედან არ გამუალ სიკვტილამდიო. კედელს არ შორდება; რომ ვერ ხედავს, ეშინია არ მომპარონო, (ღიმება, მაგრამ სწრაფად ისევ მწუხარე შესახედაობას ღებულობს და ცრემლებს იწმენდს მოსახვევის ყურით). რომელი—ერთი ვთქვა—შარშან, ავ თვალს რომ არ დიენახვებოდა, იმისთანაი უღელი ხარი... ოი, მამაზეციერმა უზღოს სამაგიერო ვინცხას იგი შეშურდა და ვინცხაის თვალით იგი დამეღუპა.. უბედურ კაცს ქვაი აღმართში მიეწევაო, რომ იტყვიან, ჩემზე ასრულდა: ერთი ხრამში გადიჩეხა და მეორე... (იწმენდს ხელახლა ცრემლებს) შვილსავით გამოზრდილი ისე საცოდვავად შემიჭამა ნადირმა... ასაღებიც ქე მაქ, მოგეცა სიცოცხლე (იხედება ფატისაკენ): გვზითში დაპირებული ოთხმოცი მანათი აგერ სამი წელიწადი

К 17.348

მივა და ჯერაც არ მუუცემია, მარა აგინთან ხმას ვერ ამეიღებ კაცი და...

სიკო (წყენით). ნენავ, მაგის დროი არაა ახლა, ამაზე მერე ვილაპარიკოთ. (ფატის) ეე, მგონია ბაღანაი ტირის. (ფატი სწრაფად მიდის სახლში).

სალიხე. მართალია, ამაზე არ ღირს, მერე ჯობს, მარა რომ ყოყმანობ, იგი მიკვირს. თუ უჭირს ვინმეს ვინმეის მოშორება, მე მიჭირს შენი მოცილება. შენს მეტს ვის ვუმზერ საიმედოდ, მარა შენდა შენი ცოლ-შვილიზა ვზრუნავ: საბოლოოთ არ მინდა, რომ შენ მეზობლებში და ტოლ-ამხანაგებში გამოწყვეტილი იყო, მე ქე მოვჭამე ჩემი სოფელი თვარა აწი ჩემდა ხუთი ფიცარია საჭირო... არ ვხედავ, რავა გაკეთდა ეგერ ნიკოიეი, რაფერ ღატაკათ იყო და სამი წლის სხვაგან მუშაობით გამდიდრდა კაცი. იმისთანაი ოდა წამოიჭიმა... ხარები, ცხენი, მოჯამაგირე... ლუგა-ლუგა ვერცხლი თურმე შენახული აქ... ერთი სიტყვით, რა გინდა სულო და გულო, ოჯახში არ ჰქონდეს...

(არსენა ამ ლაპარაკის დროს მიდის მოხუცთან, რაღაცას ელაპარაკება და ბრუნდება თავის ალაგას. სახე მოძრავი და გამომეტყველი აქვს; აღელვება და აზრის ბრძოლა ეტყობა).

ყარამან (გაიხედავს მოხუცისკენ). რავა, სეხნიეი კიდევ ცოცხალია?

სალიხე. ცოცხალია, ბატონო, ცოცხალი; გამოყრუვდა, თვალი დიეფსო; მარა ჭამა სმაი...

სიკო (გააწყვეტინებს). დაბერდა ხომ ყარამან, თვალიც დიეფსო, ყურიც, მარა ჭკუაზე კანკასათ არის.

სალიხე (შეურაცხყოფილი მწუხარებით). აა, ბატონო, ხმას ვერ ამევიღებ ვეფერზე... ჰო, იმას მოგახსენებდი, ყოლი კაცი გაკეთდა და გამდიდრდა, ვინც გევიდა სხვაგან.

ყარამან. სხვაის რა მოგახსენო და ვინც ჩვენთან მოდის, მოგეცა სიცოცხლე—მდიდრდებიან. ნუ გეშინია, გზაში აფერი არ ეხარჯება, ადგილზე ცხოვრება აფერი არ უჯდება. ცხენი ეძლევა. ოლონ შენ იმუშავე ცხენზე და იყავი შენთვის, თვეში მიიღე ასი მანათი და რაც გინდა იგი უქენი: გინდა შინ გააგზავნე, გინდა იქეიფე, წინ-წინ ასი მანათი...

სალიხე (ყოველ სიტყვაზე თავს აქნევს). ეე, ბიჭო, ხედავ? ასი მანათი ახლა ჩვენდა ციდან ჩამოვარდნილი მანანაი იქნება. აბა ბიჭო, დუუკვირდი ამას.

სიკო (დაფიქრებული, ოდნავ ღიმილით). ნენავ, ისე ჩივი, ვითამ ბალანაი ვიყო. არ ვიცი, რომ ჩემდა ასი მანათი ახლა დახსნა არის? სხვაი რომ არაფერი თქვას კაცმა მჭადიც საყიდელი მაქ. ყორიფელს რომ დიეთხუო—ქვეყანას მაინც ვნახავ, ჩემ სიცოცხლეში შეკვეთილს არ გავცილებივარ, მარა... (სწრაფად დგება და მიდის სახლში).

სალიხე. ეე, ქალს მიელაპარაკება ახლა... (არსენა მიდის მოხუცთან, სალიხე უფრო ხმადაბლად ყარამანს). ნეტაი მაინც ჭკვიანი იყოს, ყარამან, დედაკაცი, ჭკვიანი (აჯავრებს). რა უყოთო ახლაო, თუ ციხე-დარბაზი არ გვიდგანაო, ბუჭუკელაი, ბალანას უძახის ასე, ხომ კი გვყავსო: აგი ბედნიერებაც გვეყოფაო. სილარიბეშია გამოზდილი, ყარამან, სილარიბეში მისდღემჩი აფერი უნახავს.

მოხუცი (არსენას. საზოგადოდ ლაპარაკობს ნელა, დინჯად. ბებრულად). ამერიკაშიო?.. საჯირითოდ რომ იარეგიან იქინეი?.. (პირჯვარს იწერს) მერე ცოლ-შვილს ვის უტიებს, ან მე ვინ დამმარხავს?

არსენა. შენ კიდევ დიდხანს იცოცხლებ ღვთით და ოჯახში მოჯამაგირეს იქირავებს.

მოხუცი. რაიო, ბაბუავ, ვერ გევიგონ.

არსენა. მოჯამაგირეს იქირაკებს მეთქი.

მოხუცი. მოჯამაგირესო? ოჯახში მის მაგიერობას გასწევს მოჯამაგირე?! არა, არა... ჩემი რძალი რას ჩივა?

არსენა. უპირდება.

მოხუცი. სული არ წეიწყმინდო-თქვა, უთხარი, არ გუუპირდე-თქვა... მარა ჩემი რძალი სალიხე სალი კლდეა, ბაბუავ, სალი კლდე! (ჩაღუნავს თავს და ხმას არ იღებს. არსენა ცოტა ხანს დგას).

ყარამან (უყურებს საათს). მაგვიანდება და... (უძახის არსენას) არსენა მოდი კაცო აქეთ (არსენა მოდის ნელის ნაბიჯით).

სალიხე (უძახის სიკოს). სიკო, ბიჭო, გამოდი, ყარამან მიბრძანდება. (სიკო და ფატი გამოდიან) რა ქენით, მეილაპარიკეთ?

სიკო (თავის ფხანით). გადავწყვიტეთ მარა...

ყარამან. რაღა მარა, კაცო. ორი წელიწადი სიზმარსავით გეიარს და ქე მოხვალ ისევ ცოლშვილში. პირობა აგერ მაქ. (იღებს უბიდან და აწოდებს სიკოს). კითხვა ხომ იცი: წეიკითხე და მოაწერე ბარეღამ ხელი და გავათაოთ. ამ ორ-სამ დღეში გამოგიარ და გავსწიოთ.

სიკო (ართმევს ქაღალდს და კითხულობს დაკვირვებით და გაჭიანურებით, ხანდახან ვერ არჩევს ნაწერს, შეჩერდება და შეხედავს ყარამანს. კითხვის დროს ყარამან მოხერხებულად აკეთებს თავის შენიშვნებს და განმარტებებს აძლევს. ცდილობს წაახალისოს და დაარწმუნოს სიკო ამერიკის ცხოვრების სოფლის ცხოვრებასთან უპირატესობაში. არსენა მსიარულად აღელვებულია და სხვები ბეჯითად უგდებენ ყურს).

მე ქკემორე ამის ხელის მომწერი სოფ. კრიალეთის მცხოვრები სიმონ იგივე სიკო სიამაძე გაძლევ ამ ხელწერილს შენ აზნაურ ყარამან გერგილაძეს იმაში, რომ დღეიდან 18.., აპრილის 20 დღიდან ჩავირიცხები გურულ მოჯირითეების ამხანაგობაში, რომლის მეთაუ-

რად შენ ყარამან გერგილაძე ითვლები და გავემგზავ-
რები შენთან ერთად ამერიკაში, სადაც შენი ხელმძღვა-
ნელობით სხვა და სხვა წარმოდგენებში მონაწილეობას
ვიღებ. სამაგიეროდ შენ ყარამან გერგილაძე ვალდე-
ბული ხარ გასამრჯელოდ მაძლიო თვეში ასი მან. უკე-
თუ ეს პირობა შევშალო, მოვალე ვარ შენ ყარამან გერ-
გილაძის სასარგებლოდ გადავიხადო ექვსასი მან.

(წაკითხვის შემდეგ სალიხეს სწრაფად გამოაქვს საწერ-კალა-
მი, სიკო დედის მოსვლამდის კიდევ კითხულობს ზოგიერთ სიტ-
ყვებს; შემდეგ აწებს სამელნეში კალამს და იწყებს ხელის მოწერას,
მაგრამ მაშინვე დაანებებს თავს, დახედავს კალამს, გაბერტყს და
სწმენდს ჩოხის კალთაზე, ხვნეშის. იღიმება და ისევ სწერს. მოაწერს
და გაჰხედავს განზე).

სიკო (ყარამანს). აჰა, ძმავ: ორი წლით მოგყიდე
ჩემი სული.

ყარამან (ითვლის ქაღალდისა და ოქროს ფულს და აძლევს
სიკოს). მოგახმაროს, ძმაო, ღმერთმა მშვიდობაში! (სიკო
ღებულობს, ითვლის, კეცს და იდებს უბეში, სალიხე ყველაფერში
ილებს მონაწილეობას).

სალიხე (გახარებული). აბა, ახლა სადღინძელო, ყარა-
მანის სადღინძელო; დაბძანდით, დაბძანდით ყველამ!
(ყველანი სხდებიან, სალიხე იღებს ჭიქას) ღმერთმა გაცოცხ-
ლოს ყარამან ცოლით, შვილით, მოკეთით. ყოველი გა-
საჭირისაგან დაგიხსნას და გაგახაროს მამა ზეციერმა
ღმერთმა და ყოვლად წმინდა ღვთის-მშობელმა, ისე,
რავარც ჩვენ დაგვიხსენი და გაგვახარე. გადღინძელოს
ღმერთმა. (სვამს, ცლის ჭიქას, გადაატრიალებს). ასე მტერი
დაგეცალოს...

ყარამან. მადლობას მოგახსენებ, მადლობას.

სიკო (ისხამს). ყარამან, იცოცხლე მრავალჟამიერ!
(სვამს, ჭიქას არსენას გადასცემს).

ყარამან. მადლობელი ვარ!

არსენა. იცოცხლე, ყარამან, რომ შენი ბედნიერი ფეხი და კეთილი გული არ მოკლებოდეს ჩვენ ქვეყანას; რაც ფარებია ამერიკაში ამ ჩვენ კოხტა კრიალეთში გადმოგვეტანოს, რომ ოქრო ნიჩბით სახვეტად გქონებოდეს (სვამს და უსხამს ფატის).

ყარამან (სიცილით). მადლობელი ვარ, მადლობელი არსენ, მარა, ბარეღამ ნულარ მანწვალებ, კაცო, შენც, მითხარი ახლავე პირობა და გაათავე. გადაწყვიტე— მოხვალ თუ არა? შენი ქალალდიც ხაზირათ მაქ აგერ (იღებს მეორე უბიდან ქალალდს). ორივე მეზობლები ხართ და... (ფატის უჭირავს სავსე ჭიქა და შემკრთალი უყურებს არსენას).

არსენა. გინდა ჩემი უკანასკნელი ჰასუხი, ყარამან? მე არ წამუალ...

ფატი (შეჰკივლებს) ვუი!! (ჭიქა ხელიდან გაუვარდება, ყველანი გაკვირვებული შესცქერიან, ფატი სწრაფად ადგება და მიირბენს ქმართან). სიკო, გაფიცებ ბიჭუკელას, ნუ წახვალ... სიკო... თუ ჩემი ხათრი და სიყვარული გაქ...

სიკო (აღელვებული, შერცხვენილი და გაჯავრებული). რა დაგემართა, ქალო? წაღანაი...

ფატი. წაღანაი სხვაი იყო, ახლა სხვაია. ვერ გაგიშობ... არ შემიძლია... შენ არ იცი.

სიკო. რეიზა მარცხვენ ახლა ამ პატიოსნებთან? პირობაზე ხელი მუაწერე... რაღა დროისაა. წამოდი ერთი... (მიჰყავს სახლში).

სალიხე (მუხლებზე ხელებს იცემს). აჰა, ბატონო, ხომ ნახეთ რა სამოთხეში ვარ. ამის შემხედვარე ახლა რა გუნებაზე უნდა იყო კაცი... დედავ, დედავ, ჰმ... რა კაცია ახლა ჩემი შვილი, რომ ცოლის გადუალს ვეფერს იზამს? დაბრუნდება, დაბრუნდება, ჩემი კაციეის სულის ცხონებამ.

(არსენა გარეგნულად დამშვიდებულია. მაგრამ ძალიან მოუსვენრად არის; რამოდენიმეჯერ წასვლასაც დააპირებს; იყურება სახლისაკენ).

ყარამან. არა, თუ ასეა დასურ, მოძალე კი არ ვარ; მე წამომსვლელს კი ვიშოვნი: თქვენდა მინდოდა სიკეთე, თვარა მეხვეწებიან.

სალიხე. რას მიბრძანებ. არ ვიცი შეგეხვეწებიან?

ყარამან. რავა, თუ ასე უბედურობათ მიაჩნია და უჭირს, ძალადობა არ იქნება.

სიკო (გამოდის; სახე თუმცა გაჯავრებული აქვს. მაგრამ იღიმება). არა, რას ბრძანებ: ძალადობაზე კი არაა საქმე. მე თვითან ვთქვი წამუალ მეთქი და წამუალ კიდეც. უცფათ მეწყინაო, რომ არსენაი არ მივა და შენ მიხვალო. არსენაი ცოლის შერთვას აპირობს და ამერიკაში წავა მეთქი? (ყარამან და სალიხე იცინიან, სიკო გაჯავრებული განაგრძობს, თითქოს თავისთვის) საქმე გათავებულია; შაფათ-კვირიზა ხაზირი ვიქნები. ცოლ-შვილიანი არ არიან ეგერ ეგნატაი, ვასილაი, პავლიეი, რომ იარებიან?..

სალიხე. ძალიანი კაია, ნენავ, ასე რომ მსჯელოფ. ნამეტარი, ნენავ და შვილო, არაფერი არ ვარგა. ასე ჯობს, ქალი კი არ უნდა დეიჯინო თლა თავზე. ახლა მაინც საქმე გადაწყვეტილია და პირობის შემშლელი ჩვენ არ ვართ; თუ ვინმეს რამე ეწყინა ისევე თვითან უნდა მეინელოს... (უცებ კილოს გამოიცვლის და ტკბილად). სიკო, ნენავ, ყველაი ადამიანის შვილები ვართ, ყველაი ღვთის ხელში ვართ; ვინ იცის... ორი წელიწადი მაინც დიდი დროია. ყორიფელი მოსალოდნელია, ნენავ; ამ სიშორეს მიხვალ და წასლამდი ბაღანაი მოვნათლოთ. მაინც გვინდოდა არსენაი ბუდუათ და ბარელამ აგერაა და ვსთხუოთ, მაშინ აქანაი ყურსაც უფრო გვიგდებს, ამ შაფათ-კვირიზა, ყარამანიც აქანაი იქნება, და გვეწოვა, მოვნათლავთ და წახვალთ.

არსენა. პატივისცემიზა დიდი მადლობელი ვარ, მარა ამსალამოს ჩემ დასთან მივალ: რაცხა, საუბედურო, ყანა გვაქ მე და ჩემ სიძეს ზიარი და შეპირებული ვარ, ერთ ორ კვირეს იქინეი უნდა დავრჩე, თვარა...

მოხუცი (ხელ გამოწეული ცოტათი გვერდათ, ნელა მოდის ლაპარაკით). [ჩემო რძალო, სალიხე, სალიხე! არ გუუშვა ბიჭი ამერიკაში, არ წეიწყმინდო სული... ცოლ-შვილი მოსარებია. მე ვინ დამმარხავს...

(ყველანი მოულოდნელობით შემკრთალნი შეჰყურებენ).

ფ ა რ დ ა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოქმედება II

სურათი პირველი

სცენა ისევ იმ ეზოს წარმოადგენს. ნალიის ქვეშ გაურჩეველი სიმინდის კალოა, მხოლოდ ერთი პატარა ნაწილია გარჩეული. სალიხე და არსენა სხედან, ხელში დანები უჭირავთ და გარჩეულ ტაროებს იღებენ, ათვალიერებენ, სჭრიან წვერებს და კარგებს ჰყრიან გოდორში. არსენას თეთრი ახალოხი აცვია, ფეხებზე—წულა-მესტეხი, სალიხეს—ჩვეულებრივად შავები. არსენა ადგება; გაანძრევს გოდორს და ისევ ჯდება.

სალიხე. შენთან რაღა დავმალო, შვილო, ყორიფელში უხასიათო და უცხვირპირო რომ გამუა ადამიანი, თვარა გაგონილა სადმე, რომ ანგელოზი ბალანაის სიკვტილმა ასე დაამგლოვიაროს კაცი. ერთ წელიწადზე მეტია აგერ და არ იქნა—ერთი წარბი ვერ გავახსნიე.

არსენა. ეგება ქმარის მოცილება აწუხებს?

სალიხე. ჰმ, ეგებ კი აწუხებს, მარა აწუხებდეს უნდა? ამის მეტი არ უნდა ესმოდეს და გაეგებოდეს? არ უნდა ფიქრობდეს ოჯახზე და ოჯახის შემატებაზე? თუ ფიქრია, მაგი უნდა ფიქრობდეს, რომ ყორიფელი თვითან დარჩება, თვარა მე ხომ არ წევიღებ მიწაში. ა, ამის გაგება რომ არა აქ, აგი მწყინობს... არა, აჰა, ახლანდელი ქალები და კაცებიც რაცხა სხვანაირები არიან, უზრუნველები... აჰა, გეიფსო გოდორი!

არსენა (დგება. ანძრევს გოდორს). არა, თუ ახალგაზრდობა უზრუნველია, სამაგიეროდ, თქვენ, მოხუცებულები, ნამეტარ მზრუნველობას იჩენთ. არც აი ვარგა, მგონია. კაცმა აბა თავის გუნებისათ სულ არ უნდა იცხოვროს?

სალიხე (ერთ წუთს შესცქერის გაკვირვებით. მერე იცინის) თავის გუნებისათო!.. რაფერი ხუმბარი ხარ! თავის გუნებისათ შენ უნდა იცხოვრო: უცოლშვილო კაცი ხარ.

არსენა (სიცილით). მე ცოლს რომ შევირთავ, მერე ვაპირობ სიამოვნებით ცხოვრებას და აბა ტყუილაი ყოფილა ჩემი ფიქრი... ამიწიე აბა...

სალიხე. აჰა, ნენავ, აჰა, აკურთხოს ღმერთმა შენი მარჯვენაი. შვილობილი კი ხარ, მარა ჩემი სიკოს მაგიერობას მიწევ ყორიფელში. ჩემდა რომ მუშაობ, წროულს იმის ნახევარი არ გიმუშავია შენდა; ამას კი ვხედავ, მარა თუ ღმერთი ბიჭს მშვიდობით ჩამომიყვანს, კი გადაგიხდის ხვთით... ჩემი გამაკეთებელი რძალი გუშინ ღამ მეჩხუბებოდა, რეიზა ამუშავებ იმ კაცსო. დღეი და ღამე აქანაი რეიზაოო?.. მარა ქე უთხარი, რაც ეკადრებოდა!

არსენა. ეჰ, რა უთხარი, ნეტაი?

სალიხე. რაი და შენთან კი არ იარება, ნუ გეშინია მეთქი. ჩემი შვილობილია და ჩემთან და სიკოს ხათრიზაა, ჯაფას რომ წევს, თვარა შენისთანა უცხვირპიროს ვინ მიეკარება მეთქი... (იცინის).

არსენა (იცინის). არა, თუ ღმერთი გწამს, ასე უთხარი? მერე მან რა თქვა?

სალიხე. რა თქვა? გაჩუმდა, რავაც ყოველთვისარა, სიკოიამ კი წაახთინა მაგი. მაშვინ, რომ წევიდა, ისე უჭირდა მოცილება. ქალი რომ დეინახა ატირებული, მოწიფული კაცი თვითონაც კალამ ატირდა. პიროზა რომ დუურჩა ხელმოწერილი, იგი ვეღარ გატეხა.

თვარა წევიდოდა გგონია?.. ასწიე, ნენავ, ასწიე... შენ, რომ არ გამჩენოდი, ჰა, არ ვიცი რა მეშველებოდა!

არსენა. მაშინ მოჯამაგირის დაქირავება დაგჭირდებოდა.

სალიხე. აბა, აბა, და ამიზა ვჩივი მეც, ღმერთმა მომივლინა შენი თავი მეთქი. მოჯამაგირეს, ნენავ, სამოცი მანათი ჯამაგირი უნდა მიცე წელიწადში. ახლა მისი ჭამა-სმაი თქვი... (ჯარგვალიდან გამოდიან ფატი და მოხუცი, მოხუცის ხელი ფატის მხარზეა დაყრდნობილი. მოდიან ნელა. სალიხე იმათ დანახვაზე პირჯვარს იწერს და განაგრძობს თავის ქნევით). ჰმ, რავა დაბერდა, ნენავ... რავა შეაბერდა ცას.. პერანგის ზიდვა უჭირს და მაინც ცოცხლობს... ღმერთო შეგცოდე, ნუ მიკალონებ და (ირტყამს მუშტს პირზე). რაცხა ცოდვილი კი უნდა იყოს... მარა რასაც მაგას ჩემი რძალი უარს... რამ შეაყვარა ასე, იგი მიკვირს... აჰა, ასწიე, ნენავ, ასწიე!.. (ადგება, დაჰბერტყს და ფუსფუსით ჰკიდებს გოდორს ხელს ასაწევად).

არსენა (შეჰყურებს აღტაცებით ფატის; ფატი უკმაყოფილოდ წარბებს ჰხრის. არსენა სწრაფად მოტრიალდება, იკიდებს გოდორს, რომელსაც სალიხე აუწევს, და მიაქვს ნალიაზე. სალიხე ისევ ჯდება და არჩევს სიმინდს. ფატის მოჰყავს მოხუცი ნალიას ქვეშ და სვამს ფუჩეჩზე, რომელსაც წინდაწინ ასწორებს და ამზადებს დასაჯდომად).

მოხუცი. ოჰ, შენ გაცოცხლა ღმერთმა, ბაბუავ! დამაჯინე, დამაჯინე, ერთი კიდევ შევალო ხელი სიმინდს. (ჯდება) მომაკიდებიე ხელი კოტეებიზა.

ფატი. აჰა, ბატონო ბაბუ, აგერ! (ხელს ჰკიდებს ხელზე და სწევს სიმინდისაკენ).

მოხუცი. ტეხა-კრეფისანაი სასიხარულო არაფერია, ბაბუავ, მუშა კაციზა. მთელი წლის ნაშრომს უყრი თავს... ჰო, ბაბუავ, იმას გიჩივოდი: დღეს რაცხა ნამეტარ კაი გუნებაზე ვარ! რაცხა სამგზავროდ მივალ,

მგონია. ბაბუა. სულგანათლებული ჩემი ცოლის მზეხა-
თუნის მოსაყვანად რომ მივდიოდი, იმნაირ გუნება-
ზე ვარ.

ხალიხე (ბოროტად იცინის თავისთვის). რაღა დროის
შენი მგზავრობაზე ფიქრია, ცალი ფეხი სამარეში გიდ-
განა, შენ უბედურო!..

მოხუცი (არ ესმის, განაგრძობს). გეყურება, ბაბუავ,
რას გიჩივი?

ფატი. კი, ბატონო, რავა არა: კაი გუნებაზე
ბრძანდები...

მოხუცი (ნეტარების ღიმილით). ყორიფელი დამავიწყ-
და, ბაბუავ, ქვეყანაზე სიკვტილის მეტი და ჩემი მზეხა-
თუნი ისევლე ისე მიდგანა თვალწინ ცოცხალსავით...
ერთ ქალათ, ბაბუავ, იმის თვალწარბი ღირდა, ერთ
ქალათ—იმის თმაი, ერთ ქალათ იმის ხმაი... იგი რომ
ჩეგურს დუუკრავდა, ბაბუავ, იმის გაგონებას აღარა-
ფერი ჯობდა... მარა ყველაზე უკეთესი გული ჰქონდა,
ბაბუა, ნამდვილი ანგელოზის გული... არ იყო სულიე-
რი, რომ იგი არ ჰყვარებოდეს ბატონებიან, ყმიან,
მოახლებიანა, ყველაი პატივს სცემდა.. ამ ჩემ სახლში
მევიყვანე. ახალი გაკეთებული მქონდა მაშვინ, ბაბუავ.
ორს არ ჰქონდა ამისანაი სახლი ჩვენ სოფელში... აი
ყორიფელი დღეს მოხდა მგონია... (ცოტახანს სდუმს). შენ
გგავდა გულით, ბაბუავ. ხანდახან რომ ვფიქრობ, სახი-
თაც მას ჰგავხარ, მგონია. მარა დიდება ღვთის სახელს,
არ მაღირსა შენი ნახვა... (ცოტახანს ჩუმად არის, შემ-
დეგ გახარებული) ღმერთმა ჩამაგონა, ბაბუავ, ღმერთმა:
მიჩვენე აქეთ შენი სახე... ხელით შეგატყობ ბაბუავ:
ახლა თვალები თითებში მაქ. ღმერთს შეევბრალე და
გამინათლა გონება, ბაბუავ, (ფატი იხრება და მოხუცი ნა-
ზად უსვავს ხელს სახეზე და აღტაცებით ამბობს) ჰგავხარ, ჰგავ-

ხარ თლა: იმნაირი თმაი, შუბლი, თვალები... ტირი, ბაბუავ?.. (ფატი უკოცნის ხელებს. მოხუცი ცოტახანს სდუმს დაღონებული). ნუ ტირი ბაბუავ,—ნუ ტირი ჩემო მარგალიტო!.. სირცხვილი სიკოიას, ერთ ჯამ ცერცვის შეჭამანდში რომ გაცვალა პირმშოობა...

სალიხე (პირჯვრის წერით). გადირია აი უბედური!..

მოხუცი (შემკრთალი). რაიო, ბაბუავ, არის ვინმე აქანაი.

სალიხე (ფატის). არა კაცი არაა თქვა, უთხარი ამ გამოყრუებულს.

ფატი (ცოტა ყოყმანის შემდეგ). ბატონი და არსენაი ბრძანდებიან.

მოხუცი. ჩემი რძალი სალიხე?

სალიხე (გაჯავრებული შეანათებს რძალს თვალებს, მოხუცს). ადამის ხნის ხარ და ჭკუა ვერ ისწავლე, შენ გამოყრუებულო? (არსენა ჩამოდის, დგამს გოდორს, დგება სალიხეს უკან და უცქერის ფატის) რეიზა იცი აი რომ მაშვინათვე მიაფრინდები ბაღანას. ღმერთო, მშვიდობით მაღირსე იმისი ნახვა; შენ იმის მზეს უნდა ფიცულობდე! იგი რომ არ იყოს, შიმშილით ამოვწყდებოდით ყველაი და ახლა რაღას ხედავს შენი დაფსებული თვალები, თვარა დეინახავდი, რომ ჯერ წელიწად-ნახევარის მეტი არ გასულა, რაც წევიდა და ეზო და სახლი დევიხსენი, ოდა ვიყიდე, მეწველი ძროხა მყავს, ხარები მყავს აკლოვილი უბედურო, შენ რომ ჭკუა გქონდეს, იმის მშვიდობით დაბრუნებას უნდა ეხვეწებოდე ღმერთს.

მოხუცი. მერე, არ ვეხვეწებოდი? ფიქრიდან არ მცილდებოდა. სწორეთ მაგას ვევედრებოდი ღმერთს დღეი და ღამე, რომ იმის მოსლამდი ნუ მომკლავ, იმის ხელით დამარხვა მაღირსე მეთქი. იმის მეტი ვინ მყავს? მარა...

სალიხე. აჰა, აი მაინც მისას ჩივა! როიცხა ჩა-ძაღლდები, ზეით არა კაცი დაგტიებს, ნუ გეშინია; მარა ღამის ყვავს რა მოკლავს...

მოხუცი. რაიო? ჩივი რამეს, ჩემო რძალო? ხმა-მაღლა თქვი, არ მეყურება. მარა ამას ვეხვეწებოდი დღე-ვანდლამდი. დღეს დილას აქეთია, რაც შენი დედამ-თილი, ჩემი მზეხათუნი, ასე ნათლად გამომეცხადა, მივხვ-თი, რომ შემცთარი ვიყავი, რომ იმან, ვინც იგი მო-მივლინა, უკეთ იცის და მანიშნა, რომ წასვლა ჯობს ჩემი, ჩემო სალიხე, ჩემო რძალო! შენ კაი დედაკაცი იყავი, მარა ნამეტარი მიწის შვილი და მაგარი გულის პატრონი იყავი, უნდა იცოდე, რომ ყორიფელს ადამია-ნის გული ჯობს. ზოგს ნამეტარი სათუთი გული აქ, ჩემო რძალო, და აი სათუთი გული არ უნდა მუუკლა კაცს... მე იმას ვჩივი, რომ ჩემ შვილიშვილს სიკოს არ უნდა ეწყეინებია ცოლიზა... (ფატის). მარა შეცდა, შვი-ლო, შეცდა, ბაბუავ, ვითარცა კაცი, და აპატიე შენი კაი გულით (ერთი ხელით ეფერება თავზე, ფატი უკოცნის მეო-რე ხელს). ნუ ტირი, ბაბუავ, აპატივე, დამპირდი რომ აპატივებ, კაი გუნებაზე ვარ. მინდა რომ თლა მზე-ხათუნს ჰგავდე... ჰა, დამპირდები?..

ფატი (გულაჩვილებული), კი ბატონო, კი...

სალიხე (წამოვარდება გაცხარებული). უჰ, თქვენი ღარ-ღილი არ გეიგონა კაცმა! რა აქ ბაღანას თქვენი საპა-ტივებელი?.. ვინ მუუკლა ვის გული? დედაკაცი ნამე-ტარი გულს გევიდა...

ფატი. ბატონო, დიდი დღეი არ უნდა ჰქონდეს-და... ნუ აწყეინებ...

სალიხე. რაიო, რაიო, რაიო?—დიდი დღეიო?—ნა ტუსალაის ხნისაა...

მოხუცი (შეშინებული ცდილობს წამოდგომას). რაიო, ჩემო რძალო, აჰ? ჩივი რამეს?

ფატი. არაფერია ბატონო ბაბუ, არაფერი! (შეწუხებული, მუდარით შეხედავს არსენას).

მოხუცი. ჰოო, მე ვიფიქრე, ეგება ეწყინა რამე მეთქი. ამ ქვეყნის არაფერი აღარ მეყურება ბაბუავ...

არსენა (სალიხეს). კაი, დედაშვილობას, თავი დაანებე: არ ღირს. აწი, სადაცაა, ნადიც მეიყრის თავს და შემზადებაც ქეა საჭირო. რაცხა სუფრების თხოვნა გინდოდა მგონია... ამას გარდა ერთი მობრძანდი აქეთ... (ჰკიდებს ხელზე ხელს, მიჰყავს იქით და რაღაცას ელაპარაკება ჩუმად. სალიხე თავს უქნევს).

სალიხე. მართალია, მართალი (მიიდგამს თვალებზე ხელს და უყურებს მზეს). დასურ მევლიან აწე. მაგინის ჭკუა მაქ სწორეთ მეც, რომ ავყევი, მარა გულმა არ მომითმინა. რაფერ თქვა, სიკოს ვჯობვარო. ბალანაი დნება თლა სიკეთით, და იმას ჯობს გამოყრუებული ბერიკაცი? (იბერტყს და ისწორებს კაბას. ფატის). შენ წახვალ სუფრების გადმოსატანად, თუ მე წევიდე?

ფატი. რავარც ბრძანებ, ბატონო (წამოიწევს ასადგომად).

სალიხე. არა, არა, სხვაი საქმეც მაქ მტირალა გოგიასან და სუფრებსაც ქე გადმევიტან ბარელამ. შენ ისევ, აქანაი მიეხმარე გოდრის აწევაზე (ისწორებს მოსახვევს და კაბას და მიდის).

არსენა (მოხუცს). საღამო მშვიდობისა, ბატონო!

მოხუცი. ღმერთმა გაგზარდოს, ბაბუავ!

არსენა (იცინის). თუ კიდევ გამზარდა, გლახად იქნება საქმე. ჩემ ჯარგვალაში ველარ დევეტევი (არსენა და ფატი გარჩეულ სიმინდს წმენდენ და ჰყრიან გოდორში. მოხუცი არჩევს ფუჩეჩიანს; ნელა მოძრაობს. როცა ვერ გადატეხს ძირში, აწვდის, ვისაც მოხვდება; ხან ფატი და ხან არსენა ართმევენ და აცლიან ფუჩეჩს).

მოხუცი. ჭკუით და გულით გაგზარდოს, ჭკუით და კაი კაცობით, ბაბუავ.

არსენა (ამოიხვნეშებს, შეჰხედავს ფატის და თავს ჩაღუნავს).

ფატი. ბაბუ ბატონო, დღეს სიმინდის სარჩევში ნადი გვყავს.

მოხუცი. ეჰ, დასურ? აბა კიდევ გეეიგონებ ერთ-ჯელ ხელხვავს.

ფატი. ერთჯელ კი არა, ბევრჯელ, ღვთით.

მოხუცი. არა, ბაბუავ, არა, ბევრჯელ არაა საჭი-რო. შენ იცოცხლე და გეიგონე ბევრჯელ. მე ბაბუავ, მივემგზავრები.

არსენა. ბაბუ, სიკოს უნდა დუუცადო, სიკოს.

მოხუცი. რავაც ღვთის ნებაა, მარა ჩემდა სულ ერთია.

არსენა (ფატის). გოდორი ეიფსო, ამიწევ? (დგება და მიდის გოდორთან. ფატიც დგება) ფატი; იცი?..

ფატი. დღეს ნურაფერს მეტყვი, თუ ღმერთი გწამს: არ შემიძლია, დევიღალე!

არსენა. რეიზა მტანჯავ, ფატი? მითხარი, რაცხა მითხარი! რა ვქნა, რაცხა საშველი უნდა მიეცეს ჩვენ საქმეს. გადაჭრით მითხარი, გიყვარვარ თუ არა?

ფატი. არა, არა, არა! ჩამომეხსენი, გთხოვ, ნუ ჩადგები ჩემ ცოდოში. მომცილდი!

არსენა. ოჰ, ფატი, შენი სიტყვა სხვას ჩივის და თვალები და ხმაი სხვას. წეღან რომ შემომხედე, გადვი-რიე კაცი. მართალი ვერ გამიგია და ამან დამანელა კაცი, შენი ჭირიმე, ფატი, შემიბრალე!.. (მიიწევს, უნდა ხელი მოჰკიდოს).

ფატი (უკან დაიხევს შეშინებული, მოხუცს). ბაბუ, ბა-ტონო!

არსენა (მწარედ). უჰ, ბერიკაცი! (ვედრებით) კაი, კაი, ნუ გამიჯავრდები! აღარ შეგაწუხებ. ამიწიე გოდორი... სიტყვის თქმის ნებასაც რომ არ მაძლევ, არ გრცხვენია! ასე მტანჯავ სულ.

მოხუცი. რაიო, ბაბუავ, ვერ ასწიე გოდორი?

ფატი. კი, ბატონო, კი (უწევს გოდორს; არსენას მიაქვს; გოდორს ცლის და ისევ ჩქარა ბრუნდება. ყველანი ისევ მუშაობენ).

მოხუცი (ნელა უფრო თავისთვის). თავი და თავი სიცოცხლეში კაცს არ უნდა აწყეინო, გული არ უნდა მოუკლა. რაა სიცოცხლე? მე დამავიწყდა რამდენი წლის ვარ. აღარ მახსოვს ნახევარზე მეტი, რაც მინახავს და გამომიცდია, და ადამიანის კაი გული ღვთის მცნებასავით ჩამრჩა გულში. ავი კი, რავარც ჯოჯოხეთის ეშმაკის მცნება, მაშინებდა ყოველთვის. ადამიანი მგზავრია, ბაბუავ, ამ ქვეყნათ, აგი უნდა მუდამ ახსოვდეს კაცს; მარა სადაა?.. ახლა რომ გამახსენდება, მიკვირს, რა პაწია რამის გულიზა ასტეხენ ხოლმე ჩხუბს. ერთჯერ, არ დეიჯერებ, თიხის ქოთნის გულიზა კალამ დახოცეს ერთმანეთი მახობამ და გაბილამ. ქალმა ქალს თურმე ქოთანი ათხუა და გუუტეხა. ამაზე ასტეხეს კორიანტელი, ქმრებიც აჰყვნენ, მთელმა სოფელმა მეიყარა თავი ყვირილზე და ძვილაი დავაშოშმინეთ... არა, გული არ უნდა გუუტეხო კაცს.

არსენა (სასოწარკვეთილებით შესცქერის ფატის და ხანდახან მოხუცს გადაჰხედავს. გოდორი ივსება, ფატი უწევს გოდორს და ისევ ჯდება თავის ადგილას. არსენას ააქვს კიბეზე, მაგრამ მაღლა რომ ადის, საფეხური უტყდება და გოდრიანათ ვარდება ძირს).

ფატი (იკივლებს). უი! (წამოხტება და მივარდება არსენას, დაიხრება და მოჰკიდებს თავზე ხელს) ვაიმე, მოკტა? რაღა ვქნა? (სწრაფად უხსნის საყელოს, გულის პირს, მოარბენინებს დოქს, რომელიც იქვე დგას და ასხურებს წყალს. უსვამს შუბლზე ხელს. საშინლად შეწუხებულია. უცებ დაიხრება და ჰკოცნის) რაღა

ვქნა, არსენ, არსენ, შენი ჭირიმე, გამეიღვიძე (ეფერება, კიდევ აპკურებს წყალს, საშინლად აღელვებულია. არსენა იშმუშნება. ფატი წამოსწევს. ეფერება) ღმერთო, გმადლობ შენ, ცოცხალია! (არსენა წამოიწევა და დაჯდება. ფატი იცინის თვალცრემლიანი) რავა ხარ, რა გეტკინა, მითხარი შენი ჭირიმე!.. (შესცქერის აღელვებული).

არსენა. მეტკინა?.. შენი ჭირიმე. ჩემო, ჩემო ფატი! ვიცოდი, ვიცოდი, რომ გიყვარვარ! (გაუწევს ხელებს).

მოხუცი (ნელა დგება). რა ამბავია, ბაბუა, ფატი!

ფატი (შეჰკივლებს). უჰი! (სწრაფად განშორდება არსენას, მიირბენს მოხუცთან და დასვამს). არაფერია, ბატონო, არსენას კიბე გაუტყდა და პაწია ფეხი იღრძო!

მოხუცი. საშიში ხომ აფერია, ბაბუავ (არსენას). არსენა, შვილო, დეიზილე ახლავე მარილ-წყალში (ფატის), გუუთფე, ბაბუ, წყალი, გუუთფე და დუუზილე კარგად. ჩქარა, ჩქარა ქენი, რომ არ გუუსივდეს.

(არსენა დგება, იბერტყს ახალუხს და ჯდება ნალიის ბოძთან სამფეხა დაბალ სკამზე. ფატი ერთ წუთს უყურებს შორიდან; სახე ეცვლება, აღელვებულია, ბოლოს სწრაფად მიირბენს არსენასთან, მიეხვევა, გადაუწევს თავს და უნდა აკოცოს).

მოხუცი. ჰო, ჰო, ბაბუავ, წყალი, მარილ-წყალი.

ფატი (უცებ წამოვარდება თოფ-ნაკრავსავით, იფარებს თვალებზე ხელს) ღმერთო, რა ვქენი აი! (მოტრიალდება და მირბის სახლში).

არსენა (მხიარული, კმაყოფილი ღიმილით გასცქერის). ჩემი იქნები, ჩემი, ნუ გეშინია! დღესვე! უჰ!.. (დგება და იშინჯავს ფეხს, მუხლს, მხარს).

მოხუცი. მადლობა ღმერთს, რომ უბედურობა აფერი დატრიალდა. ამიზა ვჩივი, არ უნდა წასულიყო ბიჭი მეთქი; რეიზა უნდა მეიტეხოს ვინმემ ფეხი შენ ოჯახში შენ მაგიერად. აქანაი რომ ყოფილიყო, თვითან იქნებოდა თავის ადგილას...

ფ ა რ დ ა

ისევ ის ეზო, მხოლოდ ნალიის ქვეშ ნახევარზე და გასწვრივ გარჩეული სიმინდის გორაა, მეორე ნახევარზე და ნალიის გარეთაც ფუჩეჩის გორაა. გაკაშკაშებული ღამეა, სავსე მთვარე დასცქერის მიდამოს. ხის ფოთლებზე და ფუჩეჩებზე ნამის წვეთები ცრემლებენ. ისმის ჭოტის გაბმული ერთგვარი ძახილი. ბაყაყებს გააქვთ ყიყინი და ჭრიჭინათა ჯარი ჭრიჭინობს, მაგრამ მაინც რაღაც წარმტაცი მყუდროებაა. ეზოს გადაღმიდან მოისმის მგზავრის სიმღერა „ოდელია ორირაშა“, ჯერ შორიდან, მერე თანდათან ახლოვდება და ისევ შორდება და წყნარდება. ხმის გაგონებაზე ძაღლები ჰყეფენ. სიმღერის დაშორებაზე ყეფაც კლებულობს და წყნარდება.

სახლიდან გამოდიან სიცილით, ლაპარაკით და ხმაურობით ქალები და კაცები. მხოლოდ რამდენიმე შუა ხნის ქალი და კაცი ურევია, თორემ უმეტესობა ახალგაზრდები არიან, ყველანი მხიარულად და კოხტად გამოწყობილნი არიან, კაცები გამოსვლისას ზოგი ყაბალახს იხურავს ზოგი ქუდს, ზოგი პაპიროსს წევს, ზოგიც ჩიბუხს უკიდებს. ქუჩდებიან სახლის წინ და ლაპარაკობენ.

ერთი გლეხი (უკიდებს ჩიბუხს). აგაშენოს ღმერთმა, ძალიან ვახშამი იყო!

სალიხე. ვაიმე, რა ვახშამი, თქვენი საკადრისი რა იყო? აკურთხოს ღმერთმა თქვენი მარჯვენაი, რამდენი სიმინდი გამირჩიეთ. მაგიორში, თუ არ მოვკვტი და ღმერთი ჩემ სიკოს მშვიდობით ჩამოიყვანს, ყველას გადაგიხდით პატივისცემას.

მოხუცი (გადმოდის ფატის მხარზე დაყრდნობილი). დაგაცალათ ღმერმა! სიმინდის გარჩევასაც დეევესწარი, ხელხვავიც გეევიგონე, მეზობლებთანაც ვიმუსაიფე!.. (ფატის) ახლა წამიყვანე ბაბუავ, ჩემ ჯარგვალაში, დავალაგო ძვლები.

ხმები. იცოცხლე, იცოცხლე ამ შენ ეზოში, მრავალჟამიერ!.. დიდხანს...

შუახნის გლეხი (მეორეს). ძალიან ყაძახი იყო, ბიჭო, შაგი! თვალი დუუდგეს სიბერეს, ახლა აღარც კი ეტყო-

ბა. მართალია ჩემ მახსოვნობაში შემჩხავრებული იყო, მარა მაინც პირველი ყაძახი იყო. მარტო ჩვენ სოფელში კი არა, მთელ ჩვენ მრეკლში. ახლა დაბრმავდა და დაყრუვდა.

მეორე გლეხი. სალიხეს ხელში, ძმავ, არ გიკვირს, რომ თლა არ დავარდა!

მოხუცი. თქვენ იცოცხლეთ, მშვიდობით! ღმერთმა ყველას მშვიდობა მოგცეს. ეცადეთ კაი მეზობლები იყოთ ერთმანეთიზა. ერთმანეთის ჭირი და ლხინი გეიზიარეთ. ჩვენი აფერი არაა თურმე ამ ქვეყანაზე. მგზავრს შეუძლია, დაჯდეს პაწა ხან ხის ქვეშ, დალიოს საცივის წყალი, მარა არც ხის და არც საცივის დასაკუთრება არ იქნება. ისე მეც: აი აგერ რომ ცაცხვია, (უცებ ფატის)— ხომ კია, ბაბუავ, აქანაი ცაცხვი?

ხმები. კი ბატონო, რავა არა! არის, არის (ქალები მუშტს იცემენ გულზე) ჰმ, ჰმ! ვერ ხედავს, ვერა! გენიის ცეცხლო!

მოხუცი. ჰო და, ბაბუაჩემს ეგონა ცაცხვი მისი იყო; მან დადგა თურმე, მერე მამა ჩემს ეგონა—ჩემიაო. მეც მეგონა —ჩემია მეთქი. ახლა... ახლა... ჩემ რძალს ჰგონია—მისია; მარა არც ერთის არ გამოდგა, ბაბუავ, არა. ცაცხვი თურმე ღვთისაა და ჩვენ იმის ქვეშ ვიგრილებთ მგზავრებსავით!

ხმები. მართალი ბრძანებაა, მართალი... იცოცხლე. შენისთანაი კაცი ძვირფასია სოფლიზა.

მოხუცი. მშვიდობით, მშვიდობით! (მიდის ფატის მხარზე დაყრდნობილი).

ხმები. იცოცხლე, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს! (ყველა ქალი და კაცი, თავს უკრავს, იხდიან ქუდს და ყაბალახს).

მოხუცი (შეჩერდება). არსენ, სად ხარ, ბიკო? რავა ხარ? ფეხი ხომ არ გტკივა, ბაბუავ?

არსენა (მივა მათთან სწრაფად, გურულ კოხტა ტანისამოსში გამოწყობილი. მხიარულად). არა, არა, გამიარა; მადლობელი ვარ.

მოხუცი. ხელხვავში მეც გამყივანი ვიყავი შენსავით.. ცოლი შეირთე, ბაბუავ, და შენს ოჯახში იმუშავე. გამიგონე მე: ჩემხელა კაცს სიზმარიც კი დიეჯერება...

არსენა (მხიარულად). ვირთავ, ბაბუ, ვირთავ! (ჩუმად, ისე რომ მარტო ფატის ესმის) დღეს დავნიშნე!.. (უყურებს ფატის აღტაცებით. ფატი ჰხრის თავს და იღიმება).

პირველი ქალი (მეორეს). გეიგონე, არსენამ ცოლს ვირთავო, სულო ცოდვილო მე ფატის ეკურკურებოდა მეგონა.

მეორე ქალი. რას ჩივი,—ფატიზე მაი ითქმის? ანგელოზი ქალია.

პირველი ქალი. ხანდახან არ ითქმის, მარა ქე მოხდება. სულ მაგინთანაა დღიან-ღამიანა და ქე იფიქრებს რაცხას კაცი.

ხმები. ერთი დაირა, დაირა! წასვლის ხანს ერთი სოფო ვაცეკვოთ. აღათის მიეცით გიტარა!.. აბა ჩქარა... სოფო და მისი საქმრო ერთად ვაცეკვოთ.

სალიხე. დუუკარით, დუუკარით! მომილხინეთ მტერის ჯინზე! თუ ღმერთი ჩემი სიკოს ჩამოსვლას მაღირსებს...

(სახლიდან გამოიტანენ გიტარას და დაირას. ერთი ქალი უკრავს გიტარას, მეორე ათბობს ქაღალდის ცეცხლზე დაირას. ხმები ყველანი ტაშს უკრავენ).

ხმები. გიტო, გიტო გაფრინდაშვილო, აბა გამოდი გვეჩვენე, ძმავ! იმისანაი ქალი მიგყავს, თლა ჩვენი სოფლის თვალია! რავაი ცეკვა იცი ზემოურმა კაცმა. დაგვენახე, ძმავ! (სოფო აღელვებული მორცხვად დგას; მოვა ფატი და დაუდგება გვერდით. გამოდის გაფრინდაშვილი თეთრ-ჩოხიანი ახალგაზრდა კაცი და უვლის ლეკურს, უკრავს სოფოს თავს, სოფო გაჰყვება და თამაშობენ).

სალიხე. მომილხინეთ! ასე, ასე, მტერის ჯინზე!..

(როცა გაათავებენ ცეკვას, გიტარა და დაირა ცოტა ხნით შეწყდება. ისმის ტაში და ხმები—„ყოჩაღ, ყოჩაღ გაფრინ-დაშვილო!“ დაირა, გიტარა და ტაში ისევ განახლდება).

ხმები. აბა ახლა, არსენა, ბიჭო, შენ!.. არსენა ვა-ცეკვოთ... არ შეგვარცხვინო ქვემოურები! (ეწევიან აქეთ-იქიდან არსენას).

არსენა (სიცილით). ფეხი მტკივა, კაცო არ შემი-ძლია.

ხმები. არ იქნება, არა! უნდა იცეკვო.

სალიხე. მომილხინეთ, მომილხინეთ მტერის ჯინზე!

(არსენა შეხედავს ფატის, ერთ წუთ უყურებს, თვალს—თვალში გაუყრის, გამოდის, დაუვლის და გაჩერდება ფატის წინ და-თავს უკრავს. ფატი დარცხვენილი უარობს, მაგრამ არ უშვებენ, ეწევიან და აგდებენ საცეკვაოდ)

ხმები. არ იქნება, უნდა იცეკვოთ, ფატი! ფატი, იცეკვე! არ შეიძლება!.. არ გუუშვათ...

(ფატი შლის ხელებს და ბედნიერი ღიმილით მიჰყვება სა-ცეკვაოდ. ჯერ შუა წრემდი არაა მისული, რომ ისმის მოხუცის ძა-ხილი).

მოხუცი (თავის ჯარგვალიდან, კარზე მომდგარი). ფატი, ბაბუ, შვილო!..

ფატი (სწრაფად გაჩერდება, შეჰკივლებს). ვუი! (წრიდან გაიქცევა. დაირა და გიტარა შესდგება. არსენა დგას გაშტერებუ-ლი. ჩოჩქოლია).

ხმები. არ იქნება... სად მიხვალ... ჯერ გაათავე... მეიცთის ბერიკაცი... არ გუუშვათ... (ისმის სიცილი) ხა-ხა-ხა, ხა-ხა-ხა... სუთ, სუთ! არა, რავა შეარცხვინა! დუ-უკარით, დუუკარით... სხვაი გამეიწვიე, სხვაი, ერსენა!..

(დაირას და გიტარას ისევ უკრავენ. არსენა არავის არ იწ-ვევს; მიდის და დგება უკან. საკრავები ისევ წყნარდება).

სალიხე (გაწიწმატებული). დედავ, დედავ, რა მიქნა აი! რავა მომჭრა თავი! მევიყვან ახლავე! რაფერ გამოს-

წყვიტა ტოლ-ამხანაგებში ჩემი შვილი! მაპატივე, არსენ, დედაშვილობას; უცნაური რომაა, თვარა ბერკაცს არ ეკადრებოდა მოცთა, რომ გეიქცა?

ხმები. არაფერია, მაინც წასვლის დროია. ერთი ხელხვავი წასვლის ხანს და წევიდეთ... ხელხვავი... ხელ-ხვავი!.. ღმერთმა მშვიდობაში შეგაჭამოს ჩვენი გარჩეული სიმინდი... აბა, გამყივანო, არსენავ, აქეთ!

(არსენა მოდის შუაში, ეწყობიან, ისინჯავენ და აყოლებენ ერთმანეთს ხმას და გაისმის მწყობრი ხელხვავი. ერთბანს მღერიან ერთად შეეუჩებულნი, მერმე ნელა სიმღერით მიდიან ჭიშკრისაკენ. ერთი აღებს ჭიშკარს. სოფო ჩამორჩება და მოდის ჯარგვალისაკენ. ჯარგვალიდან გამოდის ფატი, ჰკიდებენ ერთმანეთს ხელს და ნელა, ლაპარაკით მიდიან ცაცხვისაკენ და ჩერდებიან).

სოფო. ფატი, არ მინდოდა შენი უნახავი წასვლა-არ გიკვირს, ფატი, რომ ვთხოვდები? განგებაი მევიყვანე, რომ შენ გენახა. რავა მოგწონს? მართალი მითხარი, ნუ დამიმალავ!

ფატი. ნამეტარი კაი ბიჭია; მე უწინაც ქე გითხარი.

სოფო. რომ იცოდე, რაფერ უყვარვარ! ხომ კაი ბიჭია, ხომ ასე ვუყვარვარ, მარა ერთი რომ მითხრას ახლაც არსენამ, ერთი თითი რომ დამიქნიოს, ყორიფელს მივატიებ იმის გულიზა. გუიგონე დღეს, ბაბუას რომ უთხრა—ცოლს ვირთავო? აჰ!.. გული ამიკანკალდა, ეგება ჩემზე ჩივა მეთქი. გუშინ-წინ მარჩიელთან ვიყავი და მითხრა, რაცხა იმისთანაი მუულოდნელი სიხარული გიდგანა წინო, რომ გაგიკვირდებაო, და ვიფიქრე, ეგება... ეჰ, რა აბდალი ვარ... მერე შენ რომ გაგიწვია ლეკურში, კი მივხთი ჩემზე არ იყო ნათქვამი (მომღერლები გადიან ჭიშკარში, მხოლოდ გაფრინდაშვილი ჩამორჩება და იცდის. სოფო დაინახავს და ფატის) წევიდეთ, წევიდეთ ფატი, თვარა ხედავ, მიცთის! (ეწევა. რამდენსამე ნაბიჯს გადადგამენ).

ფატი (გაჩერდება). არა, არა, სოფო, დევიღალე!

სოფო. წამოდი, ერთი კიდო შევხედოთ არსენას... რაფერ მღერის... ჰმ, რაფერ მენატრება ერთი მისი კოცნა!.. ოჰ, ფატი, შენ არ იცი... ერთი იმის კოცნიზა ყორიფლის დავიწყება და დატიება შეიძლება, ფატი!.,

ფატი. ასე თუა, რეიზა თხოვდები, რეიზა დგები იმ კაცის ცოდვაში?

სოფო. არა, იმიზა კაი ცოლი ვიქნები, ნუ გეშინია, ნახავ აგერ! რეიზა თხოვდებიო, რომ მიჩივი, ფატი, არ იცი, რეიზა ვთხოვდები? იმიზა ვთხოვდები, რომ პირდაპირ სიცოცხლე წამწარებული მაქ: შინ დაბერდიო, ოცი წლის ხარო, ნენაი სულ კვნესოდა, დამრჩა ციცაი გუუთხოვარიო, ბაბაი მგელსავით მიყურებდა. მეზობლები ჩემ დანახვაზე სიბრალულით თავს აქნევდენ. ეჰ, რაღა მექნა!.. მარა არაკაცთან არ გამამჟღავნო, რაც გითხარი, ფატი...

სალიხე (ემშვიდობება უკანასკნელად შუახნის ქალს)— ღმერთმა თქვენი თავი ნუ მომიშალოს... (გაფრინდაშვილი დგას და იყურება სოფოსაკენ).

სოფო (აჩქარებით). მშვიდობით ფატი, მშვიდობით (ემშვიდობება, მირბის და უერთდება გაფრინდაშვილს. ორივენი მხიარულად ემშვიდობებიან სალიხეს და გადიან ჭიშკარში. სალიხე ჰკეტავს ჭიშკარს. მთქნარებითა და პირჯვრის წერით მიდის ნალიასთან, მისწევ-მოსწევს ფუჩეჩს. ნაპირზე გადმოვარდნილ რამდენსამე ტაროს შეაგდებს ნალიის ქვეშ და მიდის სახლისაკენ. შეამჩნევს გაჩერებულ ფატის და შეუტევს).

სალიხე (ცხარედ). ღმერთო, სული ამომახდინე, რავა სტუმრებს ვერ გაჰყევი, დედაკაცო? რავა, ყველაის მაგიორობა მე უნდა გავწიო? რავა, შენ სხვაი ხარ, თუ ბატონი ხარ ამ ოჯახში? ა?

(ფატი ჩუმად არის).

სალიხე (ცოტა სიჩუმის შემდეგ). არა ხმას რომ არ იღებს, გინახავს?! წელანაი იყო და აღარ ვიცოდი სირც-

ხვილით სად გადავკარგულიყავი. მოწიფული კაცი მიატიე ცეკვაში. ჩემი ხათრი დეიკავა კიდო, რომ აფერი თქვა. ახლაა და პატივისცემის მაგიერი იყო, რომ არ გაჰყევი ხალხს ჭიშკრამდი? არა ღვთის წინაშე, კი ვერაკაცმა ვერ შეიტყო, იმდენზე აფერათ მიაჩნიხარ მეზობლებს.

ფატი (მოუთმენელი მუდარით). შენი, ჭირიმე, ბატონო თავი დამანებე.

სალიხე. ოი, ოი, ოი—რა უთხრა შენ გამზდელ-გამომთხოველს! ოჯახის დასაქცევათ შემოგიყვანე! მგზითის ფარა...

ფატი (გაცხარებით). ბატონო თუ არ დამეხსნები, ახლავე გადავარდები და წავალ შინ ამ შუალამეზე... დასურ უკეთესია, წევიდე... მეტი აღარ შემიძლია!

სალიხე (გაწიწმატებული). მაშინებ? სად წახვალ, სად გაქ გზაი წასავალი? მათხუარმა მამაშენმა დიბა-ატლასი არ ჩაგაცვას. მიორე,—შენ საყვარელ ბაბუას რაფერ შიელევი,—ვის უტიეფ, თუ იცი? (ფატი ნელა ჯდება უსიტყვოდ). აჰა, რაიო, ქალბატონო, ტიეფ?

ფატი. მართალია, ვერ დავტიეფ, ბატონო, მეცოდვება. მაპატივე, ბატონო, თუ გაწყეინე რამე... (ტირის) რომ იცოდე ყორიფელი...

სალიხე (თითქოს მოლბაო). აა, უყურე, ახლა ამას ქალო, ქმარი სხვასაც კი წასვლია საშუარზე, მარა ამიზა ქვეყანა არ დუუქცევია. რაღა დარჩა ახლა: ერთ ნახევარ წელიწადში ქე უნდა მევიდეს. მე დედა ვარ და იმის და იმის ოჯახის სიკეთიზა ყორიფელს ვითმენ. მაგიორში ოჯახი გავაკეთე. ამ ტეხა-კრეფას რომ მოვრჩები, ოდას ვდგამ; ხომ იცი, ნაყიდი მაქ... აი არსენაი ღმერთმა იმისთანაი მომივლინა. ვლოცავ იმ დღეს და მთვარეს, რა დღესაც მაგას ძუძუ ვაჭამე და შვილობილად მევიკიდე; ახლა ნამდვილ შვილობილობას მიწევს... რა ვქნა, მეც

გული მეწვის... მისი ოჯახი დატიებული აქ შენი ქმრის ხათრიზა და ჩემი სიყვარულიზა და შენ რომ მასხარად იგდებ, არ ვარგა... ჯერ აგერ ბალანაის მოსლამდი,— ღმერთი იმის მოსლას მშვიდობით მაღირსებს,—ასე იყოს; უკაცობა ძნელია ოჯახში და მერე ცოლს შევრთავ და ბაწრითაც ველარ მუათრევ, ნუ გეშინია... რაიო, რაიზა გიძახოდა იგი გამოყრუებული?

ფატი. წყალი წყუროდა, დალია და დაწვა, კიდევ...

სალიხე. კიდევ რაიო?

ფატი. მკითხა, მალე გათენდება თუ არაო? კიდევ... რაცხა მიხარიაო, მარა იტირა... არა რაცხა მეშინია, ბატონო; დიდი დღეი არა აქ, მგონია...

სალიხე. ოჰ, იმდენს იცოცხლებს, რომ ჩვენ ყველას ამოგვიჭამს და თვითან ცოცხალი დარჩება... წევიდეთ, წევიდეთ, დავწვეთ!.. მევიღალე ისე, რომ გაქანება მიჭირს.

ფატი. წაბძანდი, ბატონო, მეისვენე. მეც გეახლები. არ მეძინება რაცხა, პაწა ხანს ვიქნები აქანაი და მუალ.

სალიხე. რავაც გინდა. რომ შემოხვიდე, კარი გადარაზე! (მთქნარებით და პირჯვრისწერით მიდის სახლში).

ფატი. უჰ, მადლობა ღმერთს, წევიდა! (დაჩუმდება. ზის კარგა ხანს გაუნძრევლად. სახე წამდაუწუმ ეცვლება; აღელვებულია: ხან აღფრთოვანებულია, ხან შეწუხებული, ხან თითქოს ტირის, ხან იცინის. თანდათან მოუსვენრობა ეტყობა, იქით-აქეთ იცქირება, თითქოს ელის ვინმეს, დგება, მივა ნალიასთან, გაიქცევა ჭიშკართან, ისევ მოტრიალდება და ისევ ჩუმად დგას. მთვარე ისევ ისე კაშკაშებს, ისმის შორიდან ჭოტის ძახილი)

რა აბდალი ვარ, რას, ან ვის ველი?.. რეიზა ალარ მოდის... აჰ, ღმერთმა ნუ ქნას... ნუ მუა, ნუ... წავალ, დავწობი... არა, პაწას კიდევ მევიცდი... ღმერთო ჩემო, რეიზა მიდგა ასე თვალწინ, რეიზა მიცინის?!. არაა აი პატიოსნება. სიკო... ჰმ... რა თქვა, სოფომ— ერთი არსენაის კოცნიზა თლა მივატიებდი ყორიფელსო... ჩემთან-

კი ახლავე მუა და.... (იღიმება ნეტარებით. ალაგეზე გადმოხ-ტება არსენა. ფატი შეჰკივლებს, მირბის მისკენ ხელებ გაშლილი. უცებ შესდგება და დაუშვებს ხელებს; არსენა მოირბენს მასთან და ჰკიდებს ორივე ხელს).

არსენა. მელოდი, იცოდი რომ მევიდოდი?

ფატი. გელოდი?.. ჰო, გელოდი! ვიცოდი მოხვი-დოდი, მარა...

არსენა. მარა რაი? მითხარი ჭენი ჭირიმე, ჩქარა ჩქარა (ეხვევა და ჰკოცნის).

ფატი (ჰკოცნის). მარა, მარა რეიზა მოდი, შენი ჭი-რიმე? (იცინის)

არსენა (ეწევა ჭიშკრისაკენ). წევიდეთ ჩემთან, შინ: ვერაკაცი ვერ დაგვინახავს. სალიხეს სძინავს?

ფატი (შეკრთება, გაუშვებს ხელს შეწუხებული). სიკო! ახ-ლა გამახსენდა მისი სახე, წეღან ვერ... ვერ... მევიგონე!..

არსენა (შეშინებული მოეხვევა; მრისხანედ). არაფერი თქვა იცოდე, არაკაცზე. სიკო არაა, იცოდე! დაგვტია ორივე. შენ ჩემი ხარ. სულ ერთია უნდა დეივიწყო სიკო (საშინლად აღელვებული და აღშფოთებულია) მე მეტი-ალარ შემიძლია: დავნელდი კაცი. ათას სიკოსთანას არ შეუძლია ჩემსავით სიყვარული. აქამდი არ ვიცოდი, რომ გიყვარდი, ახლა ხომ ვიცი გიყვარვარ... გიყვარვარ! (უცებ დაცხრება და მუდარით) ფატი, შენი ჭირიმე, მოვკვ-ტები უშენოთ... რა დაგემართა?..

ფატი (ცახცახით). მართალია... მართალი--- სიკომ დამტია, მარა შენ... შენც ნუ დამლუპავ... ძალა ალარ მაქ!.. წამევიდე? ნუ წამიყვან, ნუ...

არსენა. არა, არა, წაგიყვან, წაგიყვან! (ჰკიდებს ხელს და ეწევა).

ფატი (ცოტა ხანს მისდევს. უცებ შეჩერდება). ე, გეყურე-ბა, ბაბუაი მიძახის! (გამოუსხლტება ხელიდან და მირბის. შე-დის ბაბუას ჯარგვალში).

არსენა (რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს ფატისაკენ. სასოწარკვეთილებით). ფატი, ფატი! აჰ, არ შემიძლია... მეტი აღარ შემიძლია... უჰ, წავალ, დავარჩობ იმ ბერიკაცს. რა მძულს!

ფატი (სწრაფად გამოვარდება). მოკტა... ახლა არაკაცი აღარ მყავს... წამიყვანე, სადაც გინდა... შენი ჭირიმე... (კვნესით, თითქოს ტირისო, იცინის. არსენა მოხვევს ხელს. აიტაცებს ჰაერში და აყვანილი მიყავს სირბილით ჭიშკრისაკენ. მთვარეს ისევ ისე გააქვს კაშკაში).

ფ ა რ დ ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოქმედება III

მოზრდილი ოთახი. ხის კედლები. პირდაპირ ორი ფანჯარა აქვს და ფანჯრების შუა ღია კარებიდან მოჩანს აივანი და ამწვანებული ეზო. ოთახში ერთ მხარეს ტახტია ფარდაგ გადაფარებული მეორე მხარეს მეორე ოთახში გასასვლელი კარია. ფანჯარასთან დგას თეთრ სუფრა გადაფარებული მაგიდა. კედელზე სარკე ჰკიდია, ოთახში სკამები აქა-იქ • დგას და კედელზე დაირა, გიტარა და ნახატებია, არსენა გამოდის მეორე ოთახიდან. ტანზე ელეული აცვია და ისწორებს. იღებს ტახტიდან მოკლე ჩოხას და ათვალიერებს. შემოდის ფატი, თავი გურულად აქვს გადაკრული, გამზდარია. თვალები ულვივის, დაფიქრებული, მაგრამ მოძრავი სახის გამომეტყველება და დინჯი მიხვრა-მოხვრა აქვს.

არსენა (ფატის დანახვაზე უკმაყოფილოდ იკმუხნება). ოოჰ მოდი? რა ამბავია?

ფატი. ააფერი! ისე მოვედი...

არსენა. ისე? აფერია მაინც კაი დროს კი მოდი; აგერ ჩოხაზე ღირკილო ამიწყდა, დამიკერეფ (აწვდის ჩოხას)

ფატი (ართმევს ჩოხას, ათვალიერებს, იღებს გულისპირიდან ნემსს და აკერებს ღირკილოს; სწრაფად და უსიტყვოდ აწვდის).

არსენა. აბა, ახლა საუზმე დამიდგი, თუ ღმერთი გწამს, თვარა იგი წამხდარი ბიჭი, კვერი ჩააგდო და თვითან ქე გადიკარგა საცხა. აბა, ჰე, დაფაცურდი (ფატი დგება, ერთ წუთს უყურებს არსენას. არსენა თითქოს ვერ ამჩნევს ცქერას, მიდი-მოდის, იცვამს ჩოხას. ისწორებს სარკის წინ. ფატი მობრუნდება, გადის გარედ და ცოტა ხნის შემდეგ შემოაქვს გამომცხვარი თბილი კვერი და სდებს მაგიდაზე თეფშზე. არსენა ათავებს

ჩოხის შეკვრას). აბა ახლა მაქანაი ლურსმანზე ქამარ-ფალას-კა ჰკიდია, მომეცი! (ფატის გამოაქვს მეორე ოთახიდან და აწვდის. არსენა ართმევს და გაიხედავს მაგიდისაკენ) რა, მისაჭმელი აფერი მომიტანე? ხმელაი კვერს რა მაჭუმს. ყველია იქინეი, ოზანდარაში და მომირბენიე... და ბარეღამ ღვინოც ამეიღე, გვერდის ჭურიდან, მოქაფული ღვინო რომაა. წეიღე, აგერაა ლაგინაი. ერთი კოპითაც მომიტანე არ დაგავიწყდეს. მიყვარს კოპით დალევა, ხომ იცი. ჭური კარქათ დაგოზე... ნუ გეშინია: ვერაკაცი დაგინახავს...

(ფატის მიაქვს პატარა დოქი და მიდის უსიტყვოდ; არსენა ისწორებს ჩოხა-შარვალს, ელეღის საყელოს, თავსა და წვერულვაშს იკარცხნის, ქამარს იკრავს, ყველაფერს აუჩქარებლად და კმაყოფილის უდარდელობით აკეთებს. ხანდახან უსტვენს და იღიმება. ფატის შემოაქვს დოქი და კოპე ერთი ხელით, მეორეთი—თეფშით ყველი. ყველს მაგიდაზე დგამს, დოქს—ძირს, კოპე კი ხელში უჭირავს. ერთხანს დგას, შემდეგ ჯდება ტახტზე. არსენა გადაიგდებს კისერზე ყაბალახს, მოუჯდება მაგიდას და ჭამს ნელა, აუჩქარებლად. ფატი შეცქერის. არსენა უხერხულობას გრძნობს, მაგრამ არ იმჩნევს, არ უყურებს სრულიად ფატის).

არსენა. მომეცი! (ართმევს კოპეს, სვამს ღვინოს კარგა ხანს). აა! ძალიან ღვინოა. აჰა, დამიკავე, კიდევაა შით?

(ფატი ართმევს კოპეს და უცებ წასქდება სიცილი, იცინის ისე რომ ცრემლებიც კი გადმოსცვივა. კოპეს ძლივს იჭერს ხელში და დგამს ფანჯარაზე. არსენა ერთ წუთს უყურებს შემკრთალი გამოურკვევლად და ბოლოს გაჯავრებული). რა გაცინებს, რაა საცინელი? (ფატი განაგრძობს სიცილს და იწმენდს ცრემლებს). არა, არ იტყვი, რა გაცინებს?

ფატი. ჯავრი მაცინებს, ჯავრი. ჩვენი უბედურობა. გამახსენდა რავა ემსახურებოდი ჩემი გულიზა ჩემ დედამთილს და ახლა თვითან რაფერ მიმსახურეფ...

არსენა. შენ თუ ხარ უბედური, არ ვიცი, და ჩემი რა მოგახსენო. შენი საცინელი შენ შინ დაგრჩენია!

ფატი (უცებ სრულიად დაწყნარებული, ღირსებით). ოჰ, არსენ, მაპატივე, თუ გაწყენინე. ღმერთმა ხომ იცის, თუ ვიცინოდი და ვცინოდი ვინმეს, ჩემ უბედურ თავს ვცინოდი!.. დღეს უკანასკნელია ჩემი მოსვლა შენთან.

არსენა. მადლობა ღმერთს, რომ მიხთი: თავი დამახსნა. გინახავს ამისანაი? შენ შენი ქმარი გყავს, ოჯახი... ოდა ხომ დეიდგით. შენ და შენი დედამთილი მამუშავებდით...

ფატი (თავს იმაგრებს). არ ვარგა აგი სიტყვები, არსენ! იგი, რაც ჩვენ შორის მოხდა...

არსენა (აწყვეტინებს). ჩემი ბრალი იყო, არა?.. ამისთანა საქმეში ქალია მოვალე დაიცვას თავისი სიწმინდე და სიპატიოსნე, კაცი—კაცია, ვაჟკაცი. მე სისხლი მიდუღდა: რა ვიცოდი რას ვშობოდი!

ფატი. შენს ღმერთს შეხედე, არსენ! გეიხსენე შენი საუკეთესო გრძნობა, უკეთესი ადამიანობა და სვინდისს ქვეშ თქვი, მე კი ვიცოდი, რას ვშობოდი? მარტუაი დავრჩი, ობლად... მაშვინ, ღმერთო, ჩემო, ნალიიდან რომ ჩამუარდი... ყორიფელი დამავიწყდა... (იწმენდს ცრემლებს) ერთად ერთი ჩემი ხსნის იმედი ჩემი ბალანაის მერე ბაბუაი იყო და იგიც...

არსენა. რავა გაგიხარდა, მაშვინ რომ მოკტა...

ფატი (აღელვებული წამოხტება, აწყვეტინებს). ცრუობ!.. არაა მაგი მართალი... იმის სიკვტილი მე არ გამხარებია! აგი უპატიოსნობაა... (უცებ ისევ დაჯდება და სასოწარკვეთილებით) ოჰ, მე თვითან არ ვიცი, რას ვჩივი!.. არ ვიცი—ეგება გამიხარდა. იმ წუთში ისე უბედურად ვგრძნობდი ჩემ თავს... თლათ მარტუაი დავრჩი მეგონა, ქვეყანაზე ყორიფელი გაქრა ჩემ გარშემო და შენ, შენ დაგინახე ჩემ ანგელოზად, ჩემი სულის დგმად. ისე ვიტანჯებოდი და

ისე მიყვარდი... ისე... ოჰ, რა ვიცი... არც იგი ვიცი მიყვარდი თუ არა, ისე შემიპყრო გრძნობამ, მომწყვიტა ყორიფელს. ყორიფელი დამავიწყა... შენს მეტი... (იწმენდს ცრემლებს. ცოტა სიჩუმის შემდეგ) ჰმ, რასაკვირველია, ჩემი ბრალია, მე ვარ ყორიფელი სიავის მქნელი, მე ვარ დამნაშავე და ღირსი ვარ...

არსენა. ძველი ამბავია. კაცი რაისაც ღირსია, იგი დიემართება.

ფატი (ცრემლებს იწმენდს, მაგრობს). მართალია, ძველი ამბავია, მარა ამიზა კი არ მოვსულვარ... მე მოვედი... ხომ იცი (ხვნეშის) ხომ იცი ამ ერთ თვეში.., ამ ერთ თვეში... (კიდევ ხვნეშის) უჰ... ისე მიჭირს იმის სახელის ხსენება, ისე მცხვენია... ჩემი ხელით დავკალი მგონია... ერთი სიტყვით, ხომ იცი... (ხვნეშის) სიკო... სიკო უნდა მევიდეს და რაცხა ერთ გარკვეულ გზას უნდა დავადგე... (გაჩუმდება).

არსენა (ერთ წუთს ჩუმათ არის, მერე ადგება და გაბრაზებით) რას გადამეკიდე ქალო, რა გინდა ჩემგან? ვერ შეიტყვე, რომ აღარ მიყვარხარ?!

ფატი. დაჯედი, დაჯედი! გამიგონე! მინდა ყორიფელი გითხრა. კი შეგძულდი... კი შეგძულდი... არა, რას ვჩივი, შეძულება შეიძლება, როისაც გიყვარს კაცი და შენ არცაროიზ არ გქონებია ჩემი სიყვარული, მარა აგი ახლა სულ ერთია, საქმე ამაში კი არაა. ბალანას რა უყოთ? ხომ იცი, მეშვიდე თვეში ვარ და...

არსენა. ბალანაი, ბალანაი! ხომ დამპირდა შენი დედამთილი ისე მოვწყვეტ მუცელს, რომ ვერა სულიერი ვერ შეიტყობსო...

ფატი. ამას არ ვიზამ. მეყოფა რაც ცოდვა ჩევიდინე. ბალანაის მკვლელი არ მინდა შევიქნე.

არსენა. თუ არ გინდა და დაახვედრე შენს ქმარს. შენ ბალანაი დაახვედრე, დედამისი ოდას დაახვედრებს... (იცინის) სხვაი რაღა უნდა!..

ფატი. აგია შენი უკანასკნელი სიტყვა? (დგება).

არსენა. აგია უკანასკნელი. კიდევ გინდა რამე?

ფატი. არა, არაფერი ჩემდა, მარა გახსოვდეს, ჩვენი ბალანაიზა ჩვენ ორივე სასირცხვილო ვიქნებით: რავაც მე, ისე შენ... ოჰ... რა საშინელებაა—შენ საკუთარ შვილს... (ტირის, მიდის კარებისაკენ).

არსენა (ერთ წუთს ჩუმად არის; როცა ფატი კარებში უნდა გავიდეს, უძახის). მეიცადე! (ფატი ბრუნდება) მე შენ გიჩივი, ჯინიანობა არ ღირს. მე აფერი არ შემიძლია. მეიწყვიტე მუცელი. შენი დედამთილი მუახერხებს ისე, რომ სიკო ვეფერს შეიტყობს. სოფელშიც ჯერ გახრიალებული არ არის. სიკოს ქე უყვარხარ და ყორიფელი უწინდელსავით დარჩება.

ფატი. აჰ, რაიო? არაფრის გულიზა არ ვიზამ ამას.

არსენა. აბა ერთს გეტყვი: დედ-მამასთან წადი.

ფატი. შენ თვითონ იცი: რომ შეიტყვეს, სახლში ღამეც არ გამათევიეს, ისე გამომაგდეს.

არსენა. აბა, რას აპირობ, ნეტაი?

ფატი. არაფერს. ვეტყვი ყორიფელს სიკოს.

არსენა. შენ გგონია, ისე უყვარხარ—გაპატიებს? მოგკლავს, უბედურო!

ფატი. თუ მომკლავს და მომკლას. ღირსი ვარ და იგი მირჩევნია,—მომკლას. მე მაინც არაკაცს არ მოვკლავ... მარა (უცებ თითქოს რაღაცა აზრი მოსდის თავში, უახლოვდება არსენას და ვედრებით) იცი, ერთ რამეს გთხოვ... მისდღემჩი არაფერი არ მითხოვნია და აგი ამისრულე. გთხოვ, გევედრები. არ მინდა სიკომ მომკლას: მომკალი შენ... მოგვკალი ორივე, ა, აქანაი ვართ ორივე შენ წი-

ნაშე—მე და შენი შვილი. ა, აქანაი ჭყავს (აჩვენებს გულის კოვზთან. ტირის) რომ იცოდე, რავა მიყვარს... იმის მეტი საყვარელი აღარაკაცი მყავს ამ ქვეყანაზე, მარა შენ მამახარ მისი. შენ შეგიძლია, რავაც მიანიჭე სიცოცხლე, ისევე წაართვა... ოჰ, შენ... გთხოვ, გეხვეწები, რავაც ღმერთს (დაიჩოქებს) გევედრები, ამისრულე აი თხოვნა... ხომ არაფერი არ მითხოვნია შენდა არცაროის... სულ ერთია, ერთჯელ ხომ მომკალი სულიერად, მაშვინ მარტუაი ვიყავი, თლათ მარტუაი... დევიტანჯე. მეტი აღარ შემიძლია... ბარელამ ახლა ქენი მადლი ხორციელათაც მოგვკალი, მარა ორივე... იმას... სიკოს ნუ გეირევ ამ საქმეში... სიკო... არა, არა... ნუ გეირევ... გეხვეწები... გევედრები... (ისმის ძაღლების ყეფა).

არსენა (შემკრთალი იყურება გარეთ). ადექი, ადექი! იქით გადი. მევიდენ ეგერ. დაგინახავენ, ჩქარა...

ფატი (დგება). არსად არ გავალ. მოვიდენ, მნახონ, გეიგონ მეზობლებმა,

არსენა (შეშინებული). არა, არა, გადი. მერე მევილაპარიკოთ. რავაც გინდა, ისე მევიქცევი... ოღონდ ისე წადი, არ დაგინახონ.

ფატი (ერთ წუთს უყურებს ზიზღით). აგია შენი პასუხი, ვაჟკაცის პასუხი, შენ საწყალო? ფუი (გადის მეორე ოთახში).

არსენა (უყურებს მიმავალ ფატის, მოტრიალდება, გადისვამს თავზე ხელს). რას გადამეკიდა, გინახავს? კაი ქალი ყოფილიყავი, ქმარს არ უღალატებდი შენ! არა, ვერ ჩამითრევ, ვერ მოგართვეს!.. გამაგრდი, ბიჭო, არსენავ, ნუ გეშინია! (იხურავს ყაბალახს და ღიმილით გადის აივანზე სტუმრების შესაგებებლად) მობძანდით, ბატონო! (უჯავრდება ძაღლებს, რომლებიც ჰყეფენ ამ დროს) დაიკარგეთ, თქვენ სამგლეე! (ძაღლები ჩუმდებიან, სტუმრები სალომე და ივანე ამოდიან აივანზე და ხელს ართმევენ არსენას).

სალომე. დილა მშვიდობისა, ნენავ და შვილო! (შემოდიან ოთახში. ივანე დუმს; სალომე მხიარულად არის, იცინის და ხმაურობს). მშვიდობა სახლსა ამასა!

არსენა. ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ დაბძანდით! (სტუმრები სხდებიან ტახტზე). მე ამ საათში გიახლები, (მოტრიალდება და გადის მეორე ოთახში).

სალომე. აბა, ივანე, რომ გიჩივოდი—კაი მოსახლეა მეთქი, რავა მოგწონს, ა? ამისანა სასიძოს ჩვენ დროში სანთლით რომ ეძებო, ვერ ნახავ. საკუთარი ოჯახი აქ. არა დედამთილო, არა მულო... თვითან ბიჭი რაცაა, ქე ხედავ შენი ბედნიერი თვალებით: მთელი სოფლის თვალია. შენი ქალიშვილიც, მართალია, კალმით ნახატია, მარა გამოტეხილს გეტყვი—ამისთანა სიძეს ასე ადვილად ვერ იშოვნიდი, ჩემო ივანე (ივანე იქით-აქეთ იყურება) რავა, არ მოგწონს თუ?

ივანე. არა, სალომე, მოსახლეც გვარიანია, ბიჭიც არაა დასაწუნი, მარა...

სალომე. მარა? მარა რაი?

ივანე. ქალი რომ იყო აქანაი დეინახე? ვინ იყო იგი, ან რა უნდოდა?

სალომე (სიცილით დაჰკრავს მუხლზე ხელს). შენი არ მიკვირს ივანე, დარბაისელი კაცი ხარ, და რა გასაკვირია, რომ ამისანა მზე და მთვარესავით ბიჭს ქალები სდევენ, აბა ოცდა ხუთი, თუ ექვსი წლის ლომსავით ვაჟკაცი ბერსავით ხომ ვერ იცხოვრებს. (ხმას დაიდაბლებს სიცილით) აგი აგერ მეზობლის ცოლი იყო. ქმარი შინ არ ჰყავს და მოსწყინდებოდა: ქმრიანი ქალი საშიში არაა. ახლა მაინც ჩქარა უნდა ჩამევიდეს იმის ქმარი. სოფელშიაც აგი ამბავი არა კაცმა არ იცის...

ივანე. ჰოო, ქმრიანი თუა, აფერია; მარა ქალიშვილი არ იყოს, ჩემი ბალანაის ცოდვაში არ ჩავდგე

მეთქი... მარა რომელი მეზობელია—აი, ჩვენი ფატიერ ხომ არ ყოფილა—მაქსიმეს ციცაი?

სალომე. ჰო, სტორეთ იგია.

ივანე. დასურ? არა, რომ დევინახე ქე ვიცანი, მარა ვერ მოვიფიქრე უცებ. რაიზა წეიხთინა ასე თავი იმ უბედურმა... არ დეიჯერეფ, სალომე, მთელი სოფლის თვალი იყო. ნამეტარი მეწყინა ასე მისი გათახსირება...

სალომე. ახია ყაძახზე: რა მიარბენიებდა. ბევრი გაქ, თუ პაწაი გაქ, შენ კერიასთან უნდა იყო კაცი. ქალიც ადამიანია, ქვაი კი არაა...

ივანე. მართალს ჩივი სალომე, მე და ჩემმა ღმერთმა. დროი გამეიცვალა, ახლანდელ კაცს რაცხა მეტი საცხოვრებელი დასჭირდა, მარა ამ საცხოვრებლის შოვნა უშრომლად გაურჯელად მუუნდა; ამან დაავიწყა თავის მოვალეობა; მძიმე მუშაობა შინ, შენი არ იყოს კერიასთან, ეზარება და გევიდა გარეთ. უწინ ჩემ დროში, ვინ იფიქრებდა ამ სიშორეზე გადახვეწას, იმიზა ვიყავით გამჭვარტლულ ფაცხებში და მთელი სიცოცხლე ქალამანი არ მოგვცილებია ფეხზე. ჩვენი ქალებიც... გაგიგონია, აბა ამისანაი ამბავი მომხთარიყოს? ახლა სადღაა, აი ნაქები ცოლქმრული ერთგულობა ჩვენში... არა, არა, ძალიანი გამეიცვალა დროი. ზოგში კაია, კაი დაგემართოს, მარა ზოგში...

სალომე. ზოგში კი არა—ყორიფელში უარესი შეიქნა. ახლანდელი ცოლ-ქმრობა ცოლ-ქმრობას არა გავს. ცხონებული ჩემი ყაძახი დილას ყანაში რომ წევიდოდა, ერთ ნაპირს გეიტანდა და, მე რომ არ ჩავსულიყავი, მეორე ნაპირს აღარ დეიწყებდა, ხანდახან დამიგვიანდებოდა სადილის გაკეთება და, რომ ჩევიდოდი, ვხედავდი ჟის ნაპირზე და მიცდის.

ივანე. ასეა, ასე ვიყავით ჩვენ. მართალია, გაამხნევებს კაცს ქალს რომ დეინახავ შენ მეცხედრეს, იმის მზრუნველობით სავსე თვალებს, გაგიცინებს, გუუცინებ და გრძნობ აი, შენი მუშაობა ყველაი, ა, აგერ ამ საყვარელ ადამიანის და მისი და შენი შვილიზაა საჭირო, გავიწყდება დაღალვაც, სიცხეც, სიღარიბეც და ათასი ჭირვარამი, რომელიც წელში გტეხს კაცს... მარა შენ თქვი—ქვაი კი არაა ქალიო, ქვაი არაა, მარა არც სანთელი უნდა იყოს და არ უნდა დადნეს მაშვინათე, აგიც მართალია... და რაცხა საშველი წამალი უნდა მუუნახოს კაცმა ამ გარემოებას... რაი? (ჩაფიქრდება და შემდეგ) მარა აი ჩვენი სასიძო საღა წევიდა ნეტაი?

სალომე (სიცილით). პაწას ანუგეშებს და გამუა...

ივანე (იჭმუხნება). არა, სალომე, ამ ჩვენმა ლაპარიკმა გულისხმაში ჩამაგდო რაცხა. ამისთანა ამბავი არ უნდა მოხდეს სოფელში!.. ჯერ კიდევ ვიფიქრებ—მიეცემა ქალი თუ არა ამისთანა კაცს?

სალომე (შეშინებული). რას ჩივი ივანე, გათავებული საქმეა და ვიფიქრებ, ქალი მიეცემა თუ არაო. რა სათქმელია? რავა, მაგი არ ყოფილიყო, სხვაი იქნებოდა მაგის ადგილას. ქალი თუ იმფერია...

ივანე. წეღანაი შენ თვითან თქვი—ქალი ქვაი არაააო, და ახლა ქალს აბრალებ! რომ არ იყო იგი ციცაი იმისთანაი, ჩემს ეზოში გეიზარდა, და არ ვიცი იმის ამბავი? და მაინც სხვაი იქნებაო... მე იმისთანაი სიძე მინდა, რომ რასაც სხვაი უკადრის კადრულობს, იგი მან არ იკადროს... არა—მე გადავწყვიტე... (დგება).

სალომე (გაწიწმატებით). დედავ, ღმერთო მომკალი და ქეა! გათავებული საქმეა და ახლა... რა გადაწყვიტე? რაი?

ივანე (ოდნავ ღიმილით). გადავწყვიტე, მევიფიქროს, ადამიანო, სხვაი კი აფერი ჯერ...

არსენა (ღიმილით შემოდის, ლაპარაკით უახლოვდება სტუმრებს). უკაცრავათ ვიყავი, პაწაი საქმე მქონდა. ხვალ ბაღჩაში მეზობლის ქალები მეხმარებიან და ჩემი ნათლიდედა იყო დასათვალიერებლად... (ივანეს) დაბძანდი. მე საღამომდე არ გელოდით... (სალომე იმის ლაპარაკის დროს თავს აქნევს სიამოვნებით და საყვედურით შესცქერის ივანეს).

ფ ა რ დ ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ე ო ქ მ ე დ ე ბ ა IV

უწინდელი ეზო, მხოლოდ დიდი სახლის მაგიერ ყავრით დახურული ახალი ოდა დგას. ოდის უკან, ცოტა განზე მოჩანს პატარა ფიცრული ისლით დახურული სამზარეულო. მოხუცის ჯარგვალა აღარ არის. ეზოა უწინდელ დაბალ და ძველ ღობის მაგივრად, შკერის ახალი ღობე აქვს შემოვლებული. ოდის აივანზე სალიხე და ჯუფან სხედან დაბალ სკამებზე და ლაპარაკობენ.

ჯუფან. კი, მარა აი თუ გინდოდა—ამდენხანს სად იყავი?

სალიხე. რომ არ შობოდა, რას ვიზამდი? დღეიზა დამინიშნა უკანასკნელი ვადა, რასაც ვიზამ, გეტყვიო, ბიჭის წიგნი მევიდა, ერთ თვეში უსიკვტილოთ ჩამუალო—ღმერთი იმის შვიდობით ჩამოსვლას მაღირსებს, მისი ჭირიმე,—მოსაცემიზა ნუ შეგეშინება. გადიხდის რამდენსაც თხოვ, გუშინაც კი მითხრა: ოღონდ აი საქმე მოაწყვე, თავიდან მოაშორე და ორ თუმანს არ დავზოგავო... დიდ მგზითვიან ქალს ირთავს: ორას მანათს ფულათ აძლევენ და ხიბაკი კიდევ სხვაია, იმას გოუსკდა მიწა.

ჯუფან. ქალი რაღას ჩივა, მიწა გასახეთქი? რავა შეირცხვინა თავი!

სალიხე. თვითან ხომ შეირცხვინა და შეირცხვინა მაგას ვინ ჩივა. ჩვენ ყველას რომ თავი მოგვჭრა, თვარა!... რას მევიფიქრებდი ამას! რას ჩივაო?.. აი კედელი ჩივა რამეს: ასეა გაჩუმებული. ხმას ვერ ამოვაღებიებ და თუ ამეიღებს, საწამლავს იტყვის. მუცელს არ წევიხთენო,

ბაღანას არ მოვკლავო, დუუჯინია, ცოდვაა. ქმარს თავი მოჭრა, მე ამ დღეში ჩამაყენა, აგი არაა ცოდვა და წყალი ბაღანაის მუცელში მოწყვეტა...

ჯუფან. არა ღვთის წინაშე, მართალი ქეა, შვილი თვის ბაღანას სული უდგია, მარა შენი ხათრიზა და ბიჭის, სიკოიეის სიცოდვიზა, რა ვქნა, წევიწყმენდ სულს. ერთი კი მიკვირს, სალიხე, შენ რომ გამოცდილი დედაკაცი ხარ, რავა დაგემართა, რავა არ იცოდი, რომ ანთებულ ცეცხლთან თივა არ დეიდება.

სალიხე. სხვაგან მქონდა გულისყური მიპყრობილი, ჯუფან, სხვაგან. რავა მევიფიქრებდი არსენაი მიღალატებდა: შვილობილია, ჩემი ძუძუით გამოზდილი მეთქი... ჩვენ ვუყვარდით მეგონა მე უბედურს... თურმე დანას ქე მიყრიდა კისერში; დედავ ოჯახის გამშვენებაზე და გაპატიოსნებაზე ვფიქრობდი: ოჯახი ავაგე, ოდა გავაკეთე, ეზო შკერით შემოვლობე. ახლა ჩემისანაი მოსახლე ორი არაა ამ სოფელში. ყორიფელი აი ორ წელიწადში გავაკეთე. ჩემი შვილი ახალგაზდაა და ბოლოს არ უფიქრდება, იმიზა სულ ერთია, ოღონ ახლა იყოს კარგათ, ახლაით ცხოვრობს და მე ყოველთვის ბოლოს ვუფიქრდები, ჩემდა ახალს არა აქვს ფასი... ქალი!.. ქარმა გაანიავოს მაგის გამზდელ-გამომთხოველი! ბიჭს რომ ასე არ უყვარდეს და არ მიაჩთეს, რას ვინაღვლიდი. კალონით მოღალატე ცოლს გიეყრება და სხვას შეირთავს, მარა მეშინია, აი ამბავი რომ დახთება, უცებ არაფერი ქნას მეთქი... ეჰ, ახლა რაღა დროისაა ამის ლაპარაკი. ჯუფან, შენი ჭირიმე, აი საქმე მომიხერხე რამენაირათ და ფასსნახევარს წინდაწინ მოგართუმ და ნახევარსაც მერე.

ჯუფან. არა ნენავ და შვილო, რაღამც სულს ვიწყმენდ, ფარა წინდაწინ უნდა მომცე; მერე ჯანჯლობის თავი არ მაქ. მარგალიტსავით ქალს ჩაგაბარებ, მარტო-

ტკალას ქალიშვილსავით. ბალანაის სახსენებელსაც ვერ დეინახავს სულიერი ადამიანი. მარა ფარა ორი თუმანი დამითვალოს ერთად.

სალიხე. კაი ვეტყვი დღესვე იმ სასიკვტილეს და, რომ არ იზამს, მეტი რა გზაი აქ.

ჯუფან. ჰო და აბა ქალი რავაც მევიდეს, მაშვინათვე გამომიგზავნე, ნუღარ დააყოვნებ. ბეოლის ფურცელიზა წევიდაო, ეგება საღამომდი აბა ვერც ქე მევადეს. მაშვინ დილას გამომიგზავნე, და ფარაც გამუატანე.

სალიხე. არა, უფრო ადრე მუა, მგონია. ყაჭი ერთიცახე მყავს, აგერ სამზარეულო სახლში, ოდაში არ დევისვი—არ დეიპილწოს მეთქი. ძალითაი დავასმიე, თვარა არც უნდოდა (ჯუფან დგება) მიხვალ? (დგება თითონაც ღა აცილებს კიბეზე ლაპარაკით) აბა, გამოგიგზავნი რავაც მუა. ძაღლი დაბმულია ნუ გეშინია!

(ჯუფან მიდის ჭიშკარში, სალიხე ცოტახანს გასცქერის, შემდეგ ბრუნდება აივანზე, შედის ოთახში, გამოაქვს რაღაც-რაღაცეები. ჭბერტყს, რაღაც თეთრეულს ჭკიდებს მოაჯირზე, ისევ შედის ოთახში, გამოაქვს მატყლი და საჩეჩელი, ჩამოდის ქვევით, ჯდება ცაცხვის ძირას ქვაზე, იხდის ოჩაფეხებს, ასწორებს საჩეჩელს და სჩეჩს მატყლს. სახე ხან მოუსვენარი აქვს, ხან კმაყოფილი, ხან იტმუხნება, ხან იღიმება, ხან ხვნეშის, ხან ასლოკინებს და ისვამს წამწამზე მოღუნულ ცერს).

სიკო (მხიარულად იძახის, ეზოს გადაღმა). ჰეი, მაინძელო!

სალიხე (სწრაფად იხედება ხმის გაგონებაზე. ჭიშკართან გამოჩნდებიან სიკო და ყარამან). ვაიმე?.. (სწრაფად წამოდგება, ჩაიცვამს ოჩოფეხებს, მიიდგამს თვალებზე ხელს და ერთ წუთს შესცქერის გამოურკვევლად. მერე იცნობს და შეჰკივლებს). ვაიმე, ნენავ,— შვილო, ჩემო სიცოცხლევ! (გაქანდება და მირბის სიცილით და ხმაურობით), დედავ, დედავ, რა მაღირსა აი ღმერთმა, შენი ჭირიმე! ტყუილაი კი არ მითამაშებდა მარცხენაი თვალი (მიირბენს ჭიშკართან, ამასობაში მგზავრები: სიკო ახალ

ჩოხაში და წულა-მესტებში, მაღალი წინ ჩაკეცილი ბოხოხით თავზე, კარგა მოზრდილი ახალი ხურჯინით მხარზე, გადმოდის ალაგეზე. სდებს ხურჯინს და გადაეხვევა სალიხეს, რომელიც ხმაურობით მივარდება შვილს და ჰკოცნის უანგარიშოდ გულზე, კისერში, სახეზე, თავზე, ხელებზე, ჩოხის კალთაზე, თანაც ელაპარაკება).

რა მაღირსა აი ღმერთმა, შვილო, შენი ნახვის ღირსი კიდო გამხადა... ახლა სიხარულით მოვკტები...

სიკო (ჰკოცნის თითონაც სიცილით, შემდეგ გასწევს ცოტა განზე დედას და უცქერის). კაი, ნენავ კმარა! ერთი დამენახვე, ჯერ, რა ქენი—დაბერდი, თუ ისევ ისე ხარ? არა არა, ისევ ისე ხარ... ყოჩაღად... აბა ახლა ყარამანსაც მიაქციე ყურადღება. (ყარამან, სანამ დედაშვილი ერთმანეთს ეხვევიან, ჩამოდის, დგას შორიახლო და იღიმება).

სალიხე. ნენავ, ნენავ, კიდევ გამაგონა ღმერთმა შენი ხმაი... ვაიმე ყარამან, ბატონო: უკაცრავად ვარ, შენი ჭირიმე, შუადღე მშვიდობისა, ბატონო (ართმევს ხელს ორივე ხელით).

ყარამან. ღმერთმა მშვიდობა მოქცეს. აჰა, ხომ მოგიყვანე შვილი ჯანმრთელად და კარგად. ჩამიბარებია! ხომ გითხარი ორი წელიწადი სიზმარსავით გეიარს მეთქი, გეიარა თუ არა! აჰა, სალიხე?

სალიხე. ღმერთმა ჯანმრთელობა და სიკეთე ნუ მოგაკლოს მამა ზეციერმა... მობძანდით თქვენი ჭირიმე, მობძანდით. (ისევე მიუბრუნდება შვილს, მოეხვევა წელზე და მოდიან. როცა ცაცხვს უახლოვდებიან, სიკო გაიწევს ცაცხვისაკენ. მაგრამ სალიხე ოდისაკენ ეწევა).

სალიხე. ოდაში, ოდაში შემობრძანდით, ნენავ, შვილო შენ საკუთარ ოდაში!

სიკო (იქით-აქით იყურება და უცებ შეჩერდება შემკრთალი). ბაბუას ჯარგვალაი აღარ არის?.. ბაბუაი?..

სალიხე. შენი ჭირი წეიღო, ნენავ, ბერიკაცმა, ჩემო სიცოცხლევ; ღმერთმა იმის დღეი შენ მოგცეს. ჯარგვალაი გავყიდე ნენავ...

სიკო (მწუხარედ). რეიზა არაფერი არ მომწერეთ? კი არ ვიცოდი, ბაბუაის სიკვდილი მოულოდნელია ჩემდა...

ყარამან. ეჰ, შენც ერთი, ბიჭო რა დაგემართა? ასოცი წლის კაცი იყო, მის დღემჩი ხომ არ იცოცხლებდა: არ უნდა მომკტარიყო, აბა?

სიკო. არა, კი... რავა არა, მარა (თავზე გადაიძრობს და ხელს გადისვამს მწუხარედ) მარა ბალანაიც... (უცებ) ფატი სადაა?

სალიხე (ვითომ უკანასკნელი კითხვა არ გაუგონია). ბალანაიზა ნენაშვილობამ, არაფერი მიგვიკლია: რაც ჩვენგან მოხერხდებოდა—არაფერი დაგვიზოგავს. დოხტური ორჯელ მევიყვანეთ... აფერი არ მიეხმარა, შვილო. მარა ანგელოზი ბალანაიზა ჯავრი კი არ ვარგა, ნენავ... გული არ უნდა დეიჩაგრო ამიზა...

ყარამან (სიცილით). ნუ გეშინია, ბევრი არ უმგლოვია! იმისანაი ბადიში გყავს, სალიხე, ამერიკაში, მამა მიცხონდება, რომ ბალანაის უნახავს გაგხდის.

სალიხე (სიცილით). რა ხუმბარი ხარ, ყარამან!... (სიკოს, რომელიც მათ ყურს არ უგდებს და შორდება) სად მიხვალ შვილო?

სიკო. აგერ ბაბუაის ნასახლევს ვნახავ. თქვენ აბძანდით, მეც ამ წუთში გიახლებით. (მიდის იმ ადგილას, სადაც მოხუცის „ჯარგვალაი" იდგა, გაჩერდება და ათვალიერებს დაღონებული; ცდილობს ცრემლები არ წამოუვიდეს თვალთაგან. სალიხე და ყარამან კი ლაპარაკით ადიან აივანზე).

ყარამან. ხუმბარი კი არა, იმისანა ბიჭია, რომ სულში ჩეიძვრენ. სიკოს წამოყვანა უნდოდა: არ გამოატანა დედა მისმა თვარა, რა ენაღვლებიან იქოურ ქალებს: ბალნებს სახელმწიფო უზდის, უკანონოთ არ ითვლება და არაფერი.

სალიხე (იცინის). ხა, ხა ხა, რას მიჩივი ყარამან? ამისანაი თუ იყო ჩემი სიკო, კი არ მეგონა, მისი ჭირიმე!

ყარამან. რავა, აბა, იქინეი ბერად შედგებოდა, გეგონა? მაინც იგი ოჯახდაქცეული ამერიკელი გოგოები ფუტკარსავით ეხოვიან ჩვენ ბიჭებს...

სალიხე. თაფლი სცხიანო ნეტაი, თუ რა ამბავიაო?

ყარამან (იცინის). ხა, ხა, ხა!.. ნამდვილათ ასეა სალიხე, მე და ჩემმა ღმერთმა! ვითამ დასურ თაფლი ეცხოს... ძალიანი ოდა გაგიკეთებია სტორეთ. (სიკოს) ამოდი ერთი, უკეთესია ნახე რა ოდა გაუკეთებია დედაშენს, რაცხას რომ ჩაჰკირკიტებ მაქანაი! (სიკო უცებ მიდის ხურჯინისაკენ, იღებს და მოაქვს ოდაში).

სალიხე (ყარამანს). დაბძანდი, ბატონო, დაბძანდი, (უდგამს-ტაბურეტს. ყარამან ჯდება, თვითონაც ჯდება) ღვთის და თქვენი წყალობით გავაკეთე რაცხა. დიდი გაჭირვება გამეგიარე ყარამან: წელებზე ფეხი დეგიდგი. ზოგი ბიჭმა გამომიგზავნა, ზოგი რაცხა სახლები გავყიდე, ზოგი იქით, ზოგი აქეთ და ისე წვითა და დაგვით მუუყარე თავი რავაც იყო.

ყარამან. ძალიან მოგიხერხებია სტორეთ! ყოჩაღ შენ ქალობას! (სიკოს, რომელიც ამოდის ხურჯინით ხელში) მე ქე უნდა წევიდე აწი, ძმავ, და შენ...

სიკო. დარჩი, ყარამან, დეისვენე, ვისადილოთ ერთად.

ყარამან. არა, აჰ მადლობელი ვარ, დროი არ მაქ.

სალიხე. აჰ, შენ არ მომიკტე; რავა იქნება, უსადილოთ რავა გაგიშობ! შენგან ისე დავალებული ვარ.

სიკო. (ხსნის ხურჯინს, თანაც მოუსვენრად იქით-აქეთ იყურება).

ყარამან (ხარხარებს). არა ბიჭო, ხა, ხა, ხა, დედაშენს კი არ სჯერავს, ბადიში რომ ჰყავს ამერიკაში (სიკო შემკრთალი იხედება ოთახისაკენ).

ყარამან (ხარხარებს). ჰო, ჰო, ჰო, ცოლის ეშინია, ცოლის!

სალიხე (ეხვევა შვილს,ჰკოცნის ხარხარებს). ხა, ხა, ხა, არაა ნენავ, შინ... (უცებ მოაგონდება საქმის გარემოება, ჩაჩუმდება, შორდება შვილს და შეშინებული იყურება იქით-აქეთ).

სიკო. (სწრაფად ანებებს თავს ხურჯინს). ფატი არ არის შინ? სად არის? სად წევიდა?..

სალიხე. ფატი?.. ჰო... დედამისთან აპირობდა...

სიკო. დედამისთან? აბა ქე წამუალ მეც, ყარამან, შენთან: გზაი იქით არის.

სალიხე (დაბნეულად). აჰ, არა, არა. აპირებდა წასლას, თვარა რავა წევიდოდა უთქმელი... ჰო, ახლა გამახსენდა, ბეოლის ფურცლიზა წევიდა ეგერ... მტირალი გოგიეის ეზოში იქნება... კი, ნენავ აბა რა! არა, აჰ, ასე უცებ რავა წევიდოდა... ხა, ხა, ხა! რავა დამავიწყდა-სიხარულით, ნენავ, სიხარულით! ყაჭი გვყავს ეგერ სახლში... (სიკო უყურებს დედას გაფითრებული, შეშინებული თვალებით. სალიხე ვითომ ვერ ამჩნევს: იხედება იქით-აქეთ, ფუსფუსებს, იცინის, ხანდახან ეფერება შვილს, მოუსვენრად არის).

სიკო. ნენავ, რაცხას მიმალავ, შენ, რაცხა უბედურობა კია ჩემ თავზე! ცოცხალი ხომ კია?..

სალიხე (დაფანტულად). ცოცხალი?.

სიკო. ააჰ! აღარაა?..

სალიხე (გამოფხიზლებული). რაიო, ნენავ, რას ჩივი, ღმერთო სული გამაგდებიე! რავა, ცოცხალი იქნება, აბა რაი? რას ჩივი, ნენავ, შენი ჭირიმე: მდევსაეითაა ქალი. შენ რომ არ დაგხდა, არ ეწყინოს მეთქი, მე გამოჩერჩეტებულმა... რა ვიცოდი, ნენავ, თუ ჩამოხვიდოდი დღეს, თვარა ფეხს რავა გადაადგამდა.

სიკო (დაჯდება და მიიფარებს თვალებზე ხელს, ჩავარდნილი ხმით). უჰ, მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს, რადგან ცოცხალია...

ყარამან. არა, ძმავ, შენ ვაჟკაცი კი არ ყოფილხარ, დედაბერი ყოფილხარ. მშვიდობით, ძმავ. ამ ერთი კვირის მერე მელოდე... მარა რას გავხარ, კაცო, რავა გაყვითლდი?

სალიხე (მოკიდებს ხელზე ხელს). ვაიმე, მომკალი ვინცხამ! რავა გუუცივდა ხელები!.. ვაიმე!..

ყარამან. წყალი, წყალი! (კიდებს ხელზე ხელს; სალიხე ძირბის და მოარბენინებს წყალს ჭიქით).

სიკო. (გადისვამს შუბლზე ხელს; ადგება, ნელა იცინის). არაფერია! არაა, არაა წყალი საჭირო. უცებ ისე... ვიფიქრე... სისულელეა, რასაკვირველია... მარა ბაბუაი ვიკითხე: აღარაა, ბიჭიკო...

ყარამან. არა, ძმავ, არა. შენ სხვაგან ყოფილხარ მამაცი, თვარა კერიის ძირში გლახა, მშიშარაი, ქალზე უარესი ყოფილხარ!.. დალიე ჯერ, (სიკო სვამს წყალს) აბა, დაჯედი, (სიკო ჯდება). ჰო, ასე... ახლა, აბა მშვიდობით!

სიკო. მიხვალ, მიხვალ, არ დარჩები?

სალიხე (მოუსვენარია). ვაიმე, ასე ღვინო დუულეველი რავა გაგიშვა, ყარამან?

ყარამან. არა, არა, ბოდიში არაა საჭირო; მშვიდობით! (ემშვიდობება ორივეს და მიდის. დედა-შვილი აცილებს ჭიშკრამდის). აბა, მე ამ ერთი კვირის მერე აქანაი ვარ, სიკო, იცოდე; მანამდი შენ მეიფიქრე კარგათ; ვისაც დედაშენისთანაი მომხედავი ჰყავს შინ, ოჯახის დატიება რავა შეეშინება, ძმავ? (სიკო უღებს ჭიშკარს. ყარამან გადადის და სიცილით და თავის ქნევით მიდის და თვალს ეფარება).

სალიხე. შეხედე, ნენავ რა შკერით შევლობე ეზო... ანგარიში, რაში რაი დავხარჯე, ყორიფელი შედგენილი მაქ და წარმოგიდგენ. ერთი ნახე, ნახე—რა შკერია! საგანგებოა! (სიკო ათვალიერებს გაფანტულად) ჭიშკარი ვერ გავაკეთებიე ჯერ, მარა ამასაც ღვთით...

სიკო. სეით წევიდა, თუ იცი ნენავ, ქალი? (მიბრუნდებიან სახლისკენ ლაპარაკით).

სალიხე. აა, აგერ იქნება აქანაი საცხა სოფოსთან... აჰა, რას ვჩივი, ნენავ, გამოვჩერჩეტდი მე უბედური. სოფოქე გათხოვდა... ხარები ვიყიდე, ნენავ, იმისთანაი, რომ ავ თვალს არ ენახვება... მტერის ჯინზე...

სიკო (შეჩერდება ცაცხვთან და იქით-აქეთ იყურება. მოუსვენრობა უფრო და უფრო იპყრობს). რაცხა სხვისას მივედი მგონია, ნენავ. სახლი სხვაი... ფატი შინ არ დამხვდა... ბაბუაის სახლი... ისე შევეჩვიე ბაბუაის სახლს. რაც ჩემი თავი მახსოვს, ბაბუაი და მისი სახლიც მახსოვს. მიყვარდა ორივე განუყრელად. შენ აბა იფიქრე: ბაბაი იმ სახლში დეიბადა, მეც...

სალიხე. ჯარგვალაი თლა გლახა იყო. მტირალა გოგიამ თუმანი ძვილაი მომცა. სახლი მეორე სახლი იყო, მარა არც იგი მენანება; მაგიორში ხედავ, რა ოდაა? საძირკველი და სარტყელი წაბლია...

სიკო. ბაბუას ისე უყვარდა მისი ჯარგვალაი... რაფერ უნდოდა, მე დამემარხა და სიკვტილიც არ შემიტყვია... რაფერ ვუყვარდი...

სალიხე. ნენავ, შვილო, ჩემსავით ვის უყვარხარ, ჩემო თვალის ჩინო! შენდაა აი ყორიფელი, ნენავ. აბა ამოდი ამოდი, შიგნით ნახე! (მიდის აივანზე, შედიან ოთახში. ისევ ჩქარა გამოდიან).

სიკო. არც ფატის დასწყვიტა გული ბაბუაის სახლის გაყიდვამ? არა, ქალებმა იქნება არ იცით, რაა მამაპაპური სახლის სიყვარული... მარა, ეჰ, რას ვამბობ... ფატის დააგვიანდება თუ იცი? სეით წევიდა? წავალ, დუუძახებ.

სალიხე. აჰ, ნენავ, შენ სად წახვალ? მაქანაი იქნება საცხა. მე თვითან გადვიარ და მევიყვან.

სიკო (გახარებული). ძალიან კაი იქნება. მანამდი მე თქვენ საჩუქრებს ამუალაგებ... იმისთანაი თავშალი და საკაბე მოგიტანე, რომ...

სალიხე (მოეხვევა). ჩემო სიცოცხლევ, ახლა რაღა მიჭირს, მოსვენებული მოვკვტები... (უცებ გაჩუმდება და ერთ წუთს დგას). აბა, წავალ ახლა, ნენავ. ეგება დამაგვიანდეს პაწაი.

სიკო (შეშინებული). დაგაგვიანდეს? რავა, შორაა? მეც წამუალ. მოღალული არ ვარ სულ.

სალიხე. არა, არა, აჰ, სოფო და იგი ერთად იქნებიან...

სიკო (მწუხარედ). ნენავ, სოფო ქმარს წაყვაო და აფერი აღარ მესმის: რაცხა კაი არაა მგონი...

სალიხე (ძალდატანებით იცინის). უჰ, გამოვჩერჩეტდი თლა. სიხარულით, ნენავ სიხარულით... მივალ... მაქანაი ქალებთან იქნება, მტირალაი გოგიეის ეზოში (ისწორებს მოსახვევს და კაბას. სიკო შედის ოთახში და სალიხე მიდის; ცაცხვთან რომ მიაწვევს უცებ შეჩერდება შეშინებული, თავისთვის ამბობს) რაღა ვქნა ახლა, რა წყალში ჩავარდე! რა მიქნა იმ ფეხგასაცხებელმა; ჩემი ხელიდან სასიკვტილო არაა ახლა იგი დედაკაცი? ველაპარიკე, მეიწყვიტე, მეიწყვიტე მუცელი მეთქი... ითრია, ითრია ფეხი... რაღა ვქნა, რა მუახერხო? ღმერთო თუ ეშმაკო, მომეხმარე, ისე, რომ ჩემი შვილის საბედნიეროთ გამევიდეს საქმე. ჰაი შენ... რა ცეხლში ჩამაგდე, რა ცეხლში!.. (მიდის ჩქარა).

სიკო (გამოდის ოთახიდან, იხედება იქით-აქეთ, იღებს ხურჯინს. ჩადის ცაცხვთან, ნელა ხსნის, ნელა იღებს ნივთებს და აწყობს ტახტზე. თანაც მალი-მალ იქით-აქეთ იცქირება მოუსვენრად, ამოიღებს ჩიბუხს). აგი ჩიბუხი საცოდავ ბაბუაიზა ვიყიდე. ახლა აღარ არის საჭირო!.. (უცქერის მწუხარედ).

ფატი (შემოვა ჭიშკარში; თავზე თუთის ფოთლიანი ფუტა უდვია. დაინახავს სიკოს. ერთ წუთს შეჩერდება, იცნობს, შეჰ-

კივლებს, ვაი, სიკო!.. (ააგდებს ძირს ფუტას და გაიქცევა მისკენ).

სიკო (გახარებული). ფატი!.. (სირბილით მიეგებება, გადა-ეხვევა და ჰკოცნის ცოლს) ჩემო, ჩემო ფატი, რამდენი ხანია მოვედი... ახლა ნენაი წამევიდა შენ მოსანახავად... დამენახვე ერთი... (გასწევს და უყურებს აღტაცებით) გამ-ხდარხარ... მარა ისევ ისე ლამაზი ხარ... აბა გეიცინე, გეი-ცინე (ფატი იღიმება) ასე-ჰო, ჰო,-ასე! (ჰკოცნის). აწე აღარ-სად აღარ წავალ. ამერიკა კი არა, თუ გინდა სამოთხე იყოს... მორჩა, სულ შენთან ვიქნები... აბა ერთი კიდო და-მენახვე!.. (ხვნეშის) არა, რაცხა შენც გამოცვლილხარ ჩემ ეზოსავით, მარა შენ გამშვენიერებულხარ და ეზო... რაც-ხა მეშინია, ფატი, ჩემო, ფატი, შენი ჭირიმე: რა სულელი ვარ. ასე მეკადრება, რეიზა მოგშორდი... (ჰკოცნის) ერთი შენც მაკოცე, არა კაცი არ გვიყურებს, ნუ გეშინია... ნენაი შენ საძებრად წამოვიდა... მაკოცე, შენი ჭირიმე! (ფატი ჰკოცნის). ჩემო შავთვალავ, (ეხვევა აღტაცებით). დაგტანჯა ნენამ? აჰ, რა უსინდისო ვარ,რაფერ დაგტიე? გახსოვს რომ არ მიშობდი... გატყობ, მემდური აქამდი... საცოდავი ბა-ბუაი... რავა ეშინოდა უჩემოდ სიკვტილი და მაიც უჩემოდ მოკტა. ძალიანი დეიტანჯა? (ფატი თავს აქნევს) არა? მად-ლობა ღმერთს! არაფერი უთქვამს? არ დუუბარებია? (ხვეშის) ეჰ, რაღა დროისაა ახლა, თვარა... (ხელ-მოხვე-ული მიჰყავს ოდისკენ).

ფატი. ცაცხვთან დავჯდეთ აგერ; ნუ წავალთ იმ საშინელ ოდაში.

სიკო (იღიმება). საშინელ ოდაში! არ გინდა? (ჯდებიან) ნენას არ გააგონო მაი სიტყვა, თვარა ეწყინება... ყარა-მანას დაარონია, აჩვენა. ჰკითხა, ამერიკაში თუა ამისანაი ოდაო. ყარამანაი არწმუნებდა, ამისანა ბოკონებიანი არა-აო. (იცინის) რომ იცოდე, ფატი, რა სახლებია, ამერიკაში:

თვალს ვერ აუწვდენ იმის სიმაღლე სახლებია... იმისთანა რამე მოგიტანე, ფატი... იმისთანაი ჩასაცმელი ნაქსოვი, სულ ამოქარგული ნაირ-ნაირად. იქოური ქალები იცვამენ. აბა ერთი კიდევ დამენახვე... თმაიც ისევ ისე გაქ (უკოცნის ნაწნავებს), ყორიფელი ისევე ისეა, მარა... შენ ვერ წარმეიდგენ, ბაბუაის სახლი რომ ვერ დევინახე, ისე მომეჩვენა, ვითამ რაცხა საშინელი უბედურობა დატრიალდა ჩემ თავზე მეთქი. შენი შემეშინა, ახლაც რაცხა ისე მიკანკალებს გული... ნახე! (მიიდებს გულზე ფატის ხელს) რაცხა კისერში გამეჩხირა მგონია... (ფატი ტირის) ვაიმე, ტირი?.. შენი ჭირიმე... აჰ, რა საძაგელი მხეცი ვარ! ნუ, ნუ... ერთს, ერთს კიდევ გაკოცებ (ჰკოცნის), შენც, შენც! მარა შენებურად, კარგად... რა კაია, რომ ნენაი წევიდა.., რომ არაკაცი არაა შინ (წამოხტება). არა, უნდა გაჩვენო რაც მოგიტანე: იმისთანაი მშვენიერია, ყვითელი; ისე დაგშვენდება...

ფატი არა, არა, მეიცადე, დაჯედი; (ტირის).

სიკო (შეშინებული). ღმერთო, რა ხმაია! რეიზაა ასე შეწუხებული... (ეფერება, ჯდება გვერდით) რეიზა ტირი, ფატი, შენი ჭირიმე? (უცებ მოაგონდება) აჰ, რა აბდალი ვარ, ბიჭუკელაი!... მე თლა დამავიწყდა, რომ ჩვენი ბიჭუკელაი აღარ გვყავს. მაპატივე!.. აჰ!.. (ხვნეშის) აწე აღარსად არ წავალ... ნუ იტირებ, ნუ... (ეხვევა და ჰკოცნის).

ფატი (ცოტათი იქით გასწევს სიკოს). სიკო მე მიხარია, რომ მარტუაი ვართ.

სიკო (გახარებული). გიხარია? მეც, მეც მიხარია, შენი ჭირიმე... მარა ნენასთან არ წამოგცდეს...

ფატი. სიკო, ყური მიგდე, რაც უნდა გითხრა...

სიკო (აწყვეტინებს). თაფლსავით კაი იქნება ხომ?... ჯერ მეიცაი: ერთს კიდევ გაკოცებ და მერე მითხარი! (ჰკოცნის. მწუხარედ) კიდევ ტირი?..

ფატი (ტირილით). თაფლსავით ტკბილი კი არა, ძიმწარესავით მწარე იქნება; სიკო, საშინელი იქნება... სატირელი.

სიკო (შეშინებული, ჩავარდნილი ხმით). ოჰ, ფატი!.. ამისთანაი სიტყვები!

ფატი (იკრებს რაც ძალი და ღონე აქვს, იწმენდს ცრემლებს, მაგრამ სრულიად დამშვიდებას ვერ ახერხებს), ერთი მითხარი, სიკო, თუ ცოლი ღალატობს ქმარს, რაის ღირსია იმისთანაი ცოლი?

სიკო. რაის ღირსია?.. რაის ღირსია... რაის ღირსია?.. ერთი მითხარი, რეიზა კითხულობ?.. რაის ღირსი... რაის ღირსია და... რა ვიცი რაის ღირსია... ვისაც ულალატა ცოლმა, იმან იკითხოს! მე რა მენაღვლება... არა, რეიზა კითხულობ, ფატი, რეიზა?... (იხსნის გულზე ჩოხა-ახალოხს, ერთ წუთს უყურებს ფატის დაკვირვებით. სახე ეცვლება, აღელვებულია, მაგრამ მაგრად ჩაიკრავს გულში და ჰკოცნის) ჰო, ვისაც ულალატა, იმან იკითხოს... (ჰკოცნის) მე რა მენაღვლება!

ფატი. მეიცადე, (გულმაგრად) გამიგონე! რეიზა ვკითხულობ და... ხომ შესაძლებელია, რომ აი ახლა აგერ ორ წელიწადზე მეტია წასული ხარ, ხომ შეიძლებოდა ვინმე შეგხვედროდა იმისთანაი... იმისთანაი ადამიანი... იმისთანაი... ერთი სიტყვით... შეგყვარებოდა... შეგყვარებოდა კი არა...

სიკო (სწრაფად). ფატი, ვინ გითხრა? ვინ ჩამოგიტანა ამბავი ამ სიშორეზე... გეფიცები ღმერთს, რომ სულ არ მქონებია იმ ქალის სიყვარული... თვითონ არ მომეშვა... მართალია, ბალანაი გაგვიჩთა, მარა... ქალმა იცოდა, რომ აქანაი ცოლი მყამს, რომ ისევე დავბრუნდები... ფატი, მართალია, დამნაშავე ვარ, მარა ამხანაგები.!.

მერე კიდევ იქაური ქალები: სულ სხვაი არიან... შენ არ უნდა გამიწყრე... აჰ რეიზა არ დამაკავე...

ფატი (თანდათან განცვიფრებული, აღელვებული და შეწუხებული). სიკო, შენ... შვილი გყავს ამერიკაში? შენ გიყვარდა იქინეი ქალი? შვილი... ღმერთო, მომეხმარე (კანკალებს აღელვებული, დგება) სიკო... შენ იცი, რომ მე დევიტანჯე? იცი, რომ მე მარტუაი დავრჩი, რომ მე... (წასქდება ქვითინი და ქვითინით და სლოკინით): შენ... შვილი... გყავს... და... მე... აქანაი... ბიჭუკელაი დავასაფლავე... თლად მარტოდ-მარტომ... კალამ გადვირიე... ჩემ მკავზე განუტევა თავის ანგელოზი სული... შენ იმ დროს იქინეი... (ტირის) ჩვენი შვილი, ჩვენი პაწიწკალაი... ოჰ, რომ იცოდე, რა ჯოჯოხეთი, რა სატანჯველი გამოვიარე ამ ორ წელიწადში... მე... მე...

სიკო. მაპატივე, ფატი!.. აჰ, რეიზა გამიშვი, რეიზა მეტი წინააღმდეგობა არ გამიწიე... არა რას ვჩივი... ფატი, გეფიცები შენ ფრჩხილათაც არ ღირდა იგი ქალი... ახლა ხომ მოვედი და არცაროის აღარსად არ წავალ... რა ვუყოთ, შვილი რომ მყავს... ვის არ ყავს... თვითან ყარამანახ. ყველა ამხანაგებს ჰყავდენ იქინეი ქალები!.. რა ვუყოთ, ვაჟკაცი ბერი ხომ არაა...

ფატი (უცებ გასწორდება, ცრემლებს მოიწმენდს). ვაჟკაცი ბერი არაა?.. იცი თუ არა, რომ მეც, მეც, თუმცა ჯერ არ მყამს, მარა მეც ჩქარა მეყოლება შვილი... იცი თუ არა, რომ მალაზონი არც მე ვყოფილვარ...

სიკო (გაფითრებული, მუშტებ-მოღერებული მივარდება). ააჰ, რა თქვი, შენ უბედურო?.. მალაზონი არ ვყოფილვარო?!. (უცებ ისევ დაუშვებს ხელებს, ვედრებით) არა, შენ ხუმრობ, ფატი! რა საშინელი სიტყვები თქვი!.. სამაგიეროს მიხდი, არ გრცხვენია? შენ ფატი?.. ჩემი საყვარელი ცოლი, ჩემი შავთვალაი, ჩემი ფატი... უუჰ! (კვნესის).

ფატი (მწუხარედ, რბილად). სიკო, არა არ გიხდი სიმაგიეროს, იცის ღმერთმა. ერთ წუთს გამირბინა თავში მაგ ულირსმა აზრმა და ახლა ვფიცავ ღვთის-მშობელს: მცხვენია ამის მარა, რაც გითხარი სრული სიმართლეა. იცოდე, აი სიკო, იცოდე მწარე სიმართლე: ორსულად ვარ...

სიკო. აჰ, რაიო? ორსულად ხარ? (გადაავლებს თვალს) ვაი, შერცხვენილო ჩემო თავო! დასურ ორსულათ ყოფილა!.. (იტაცებს თავში ხელებს,მივარდება ფატის მუშტებით და სცემს, ფატი წაიქცევა, სიკო სცემს გაცხარებული, ხელით, ფეხით, რითაც შეხვდება). ჰაი, შენ გაფუჭებულო, ოჯახის შემრცხვენელო! ამის იმედი მქონდა, რომ დამასხი თასვხლაფი, გამომწყვიტე ტოლ ამხანაგებში? ამიხა მეჩქარებოდა შენი ნახვა? მითხარი ახლავე—ვინაა შენი საყვარელი, რომ სული გავაგდებიო... თქვი, თქვი... არ იტყვი? (წამოაყენებს) თქვი მეთქი, ვინა?.. თქვი (ანჯღრევს).

ფატი. არ ვიტყვი.

სიკო. არ იტყვი? აბა თუ არ იტყვი და შენ მოგკლავ! (ისევ ცემს. ფატი კვნესის. სიკო შესდგება, უცებ თითქოს რაღაც მოაგონდაო). არა, ნენას მოვკლავ, იმას მოვკლავ, მოვნახავ ახლავე საცხაა და მოვკლავ ბჟოლის ძირში, იმან გამომჭრა კისერი, იმან ამომიგდო ოჯახი, იმან გამაგზავნა ამერიკაში!.. (მირბის თავშიშველი, გადახტება ლობეზე, გარბის და თვალს ეფარება).

ფატი (ერთ ხანს უძრავად არის და კვნესის, მერმე სიჩუმეა, შემდეგ წამოჯდება. სახე გასისხლიანებული აქვს, გაწეწილ ნაწნავებს უკან გადიყრის, თავს გადიკრავს გურულად, ზის მიწაზე და ჩუმად სტირის. შემდეგ დგება დიდი გაჭირვებით. კარგა ხანს არის ერთ ადგილას გაჩერებული და გაშტერებული. სახე თანდათან რაღაც უნათლდება, თითქოს რაღაც ნათელი აზრი ელვიძება. შუბლზე ხელს ისვამს, თითქოს თმას იწეწსო; მოსახვევი ძვრება და ძირს ვარდება; ყურადღებას არ აქცევს; გულს იხსნის, თითქოს გულს იფხაჭნის ნელ-

ნელა გადადგამს რამდენიმე ნაბიჯს და კიდევ დგას გაშტერებული. ერთ წუთს თვალები უნათდება. ტუჩებზე თითქო ოდნავი ღიმილი გადურბენს და ნელ-ნელა, თითქოს სიზმარშიაო, მიდის. სახე ისევ უშუქდება რაღაც არაჩვეულებრივი, ნეტარი, მაგრამ ამავე დროს სევდიანი ოდნავი ღიმილით. ჩერდება იქ სადაც მოხუცის „ჯარგვალაი“ იდგა, იჩოქებს და რამდენიმეჯერ ჰკოცნის მიწას, თანაც ჩურჩულობს) ჩემო ბაბუ, ბატონო; მუალ, მუალ თქვენთან, შენ და ბიჭუკელასთან... ჩემო ბიჭუკელავ... (ამოიღებს უბიდან ბავშვის პერანგს, გაშლის, აკოცებს, ჩაიკრავს გულში). ახლავე ჩემო ბიჭუკელავ, მუალ, მუალ... (გაღიმებული თითქოს ჰხედავს ვიღაცასო, მიდის უკან ეზოში ბილიკით, ნელის ნაბიჯით, თითქოს სიზმარშიაო. უცებ, თითქოს ვიღაცამ დაუძახაო, შედგება), სიკო? ბაბუ, ბატონო, შენ მითხარი აპატიველ? ჰმ, საცოდავი სიკო! (მოტრიალდება, შეხედავს ოდას, შეჰკივლებს) ოაჰ, ოდა, ოდა!... არა... არ შემიძლია, ბაბუ ბატონო, ვერა, ვერა, ვერ გაპატიებ... ვერა... მეც, მეც შემიბრალე... არ შემიძლია, ვერ გაპატივებ... მე თქვენთან მუალ თქვენთან!... (მირბის ბილიკით რაც ძალი და ღონე აქვს და თვალს ეფარება სახლის უკან. ჭიშკარში ჩამოდიან სალიხე და ჯუფან).

სალიხე. რამდენი ხანია გეძიეფ ჯუფან, რაცხა უნდა მომიხერხო. მონახე ქალი უსიკვტილოთ. ზეგანში იქნება სიმონიკაისას. ბაღანაი შევაჩერე, აგერაა მტირალი გოგიესას მეთქი. გეიჩქარე, არ გამოგასწროს. თვარა მომკალი და იგია. მე აქანაი რამენაირად შევიქცევ ბაღანას... რეიქნა ნეტაი, მისი ჭირიმე... რა სანახავია, ჯუფან, რომ იცოდე, მარა ნულარ დეიგვიანეფ.

ჯუფან. ფარა, ნენავ, ფარა გამომიტანე. (ადიან აივანზე).

სალიხე (ჩუმად მიდის სახლში და ცოტახანს შემდეგ გამოაქვს ჩვარში გამოკრული ფული. კარგახანს ხსნის, ითვლის, დაიდებს მუხლზე და ისე აძლევს ფულს ჯუფანს. ისიც ითვლის, ჰკეცს ჰკრავს ჩვარში და იდებს კაბის ქვეშ იუბკის ჯიბეში). აბა, აბა გეიქეცი ჯუფან! რამენაირად დააჯერე, ჩეიყვანე შინ, დაგჩეხს თქვა უთხარი. მე აქანაი ბაღანას ვეტყვი ვითომ

ბეოლიდან გადმოვარდნილიყოს, ვითამ შენს ეზოში ყორ-
ფილიყოს და დაგეწვინოს. მერე ქე გადმევიყვან შინ, გუ-
უსკდეს იმას მიწა.. (შეხედავს ხურჯინს და ნივთებს) შეხედე,
შეხედე, რა და რა მუუტანია, მისი ჭირიმე! რავა დუუყ-
რია ყორიფელი და წასულა... კაია, რომ არა კაცმა მეიპა-
რა... ვაიმე, სად წევიდა ნეტაი? ჯუფან აბა, ჰე, გეიქეცი
თუ ღმერთი გწამს, გეიქეცი!... (ველარ ითმენს, იღებს ნივთებს)
ერთი ნახე, ნახე, ქალო! (ორივენი ათვალიერებენ ნივთებს) ეჰე,
რა მშვენიერი ჩასაცმელი მუუტანია ქალიზა, ხედავ? (გაშ-
ლის შეკერილ ჩასაცმელს) ამაში ვინ იცის მთელი თუმანი
მისცა? ღირსია ამისანაი ქალი, თუმანი ხარჯო? უკეთესი
იყო ჩემდა გამიეგზანა, აგერ ჭიშკარს გავაკეთებდი, ნა-
ლიასაც დახურვა უნდა... საღორეც არ მაქ... ახლა მაინც
კი იეხილება თვალი... ახლა ქე შეიტყობს მისი ცოლის
სიკეთეს.., ჩემზე უფრო რომ მიაჩთა? ახლა ქე შეიტყობს,
რომ ჩემსავით, დედასავით, არა კაცს არ უყვარს... წევი-
დე ერთი—მჭადი ვნახო, გამოცხვა თუ არა. სადილსაც
რაცხა უნდა მიუმატო, თვარა... ვაიმე. რაცხა კიდო
მითამაშებს მარცხენაი თვალი... ჯუფან! (სწერს თვალს პირ-
ჯვარს) ნეტაი რას ნიშნავს... მარა რაც ვნახე იმაზე მეტს
სასიხარულოს რაღას ვნახავ?... შვილო, ველარ მოითმინა,
წევიდა... მარა ვაი თუ ქალის საძებრად წევიდა... არ
შეხდეს... არ დეევიღუპო?... წავალ მოვნახავ, მევიყვან და
აღარსად არ გუუშოფ... მარა აი ყორიფელი რაფერ დავ-
ტიო? რომ წეიღოს ვინმემ?... არა, არა მევიცთი... იქით
არ წავა. მე უთხარი, მტირალაი გოგიესას არის მეთქი
ქალი კი ზეგანშია, სხვა მხარეს... ჯუფან, აბა შენ გეი-
ქეცი, ნულარ დააყონებ (ჯუფან ჩქარი ნაბიჯით გადადის
ალაგეზე, სალიხე გაყვება, ერთხანს გასცქერის, ავა აივანზე და შევა
ოთახში).

სიკო (პირდაპირ ღობეზე გადმოხტება, და მორბის საშინ-
ლად აღელვებული, გაწითლებული, გაოფლიანებული, ხელში რევოლ-

ვერი უჭირავს, წელზე ქამარი აღარ აქვს და ჩოხა-ახალუხი გახსნილი უფრიალებს). თლათ მევიარე მტირალაი გოგიეის ბჟოლებიც, ნიკოიეისაც, ჩვენიც, და ვერსად ვერ ვნახე დედა-ბერი... მომატყუა... მარა ჯერ ამას მოვკლავ, ვათქმიებ ვინაა მისი საყვარელი და ისე ჩავაძაღლებ ორივეს. თქვი მეთქი ვინაა, თვარა გაგათავე ახლავე აგია, შენ... ჰა, სად არის? წასულა! (რევოლვერი ხელიდან გავარდება) წასულა!.. სად, სად წევიდა?.. საყვარელთან წევიდოდა... (ჩამოჯდება ქვაზე).

სალიხე (გამოდის ოთახიდან. დაინახავს სიკოს და გაეშურება). ნენავ, შვილო, სად წევიდა მეთქი, გეძებდი, და შენ აგერ ყოფილხარ... ვაიმე, შვილო, რა დაგემართა?

სიკო (ყვირილით). სად წევიდა, სად?

სალიხე. ხომ გითხარი, ნენავ არ იცოდა შენი მოსლა და ბჟოლის ფურცლიზა...

სიკო. ბჟოლის ფურცლიზა!... აგი რაა, აგერ?... მერე სად წევიდა, მერე?... საყვარელთან წევიდა?

სალიხე. ვინ საყვარელთან, რას ჩივი ბიჭო?... რავა, იყო იგი სასიკვტილე შინ?

სიკო (ეცემა დედას და ჩაავლებს ხელს მხრებში). შენ იცოდი? აბა თქვი: ვინაა მისი საყვარელი, ვინ შემარცხვინა, ვინ დალია ჩემი სისხლი... თქვი, თქვი.

სალიხე. აფერი არ ვიცი, ნენავ და შვილო, აფერი... ამიზა რა გაწუხებს? ქალის გულიზა თავს რას იკლავ? კანონით გაგყრიან და შენისანა მოსახლეს და შენისანა ბიჭს ქალს ვინ დუუკავებს... მაი მათხუარის შვილი რათ გინდა, ნენავ.

სიკო (ზიზღით მოშორდება). რაიო? შენ დედა კი არა, გველი ხარ, გველი შხამიანი! წამოანთხიე შენი შხამი, ბარეღამ თქვი, თქვი ვინ არის, თვარა მოგკლავ თუ ახლავე არ იტყვი, მეტი აღარ შემიძლია! (ეცემა ისევ კისერში და აღრჩობს) არ იტყვი?...

სალიხე (ხრიალით). გეტყვი, გეტყვი ბიჭო, არ მომკლა. (ისმის ყვირილი, კივილი, ძახილი. ყვირილში ზოგიერთი სიტყვები ისმის) „ჰე ჰეი, ჰეი, ვინ ხართ ქრისტიანი, მოგვეხმარეთ...

უშველეთ...

არიქა, არიქა; ქვეიდან მოუარეთ...

ეჰე, გალმაურებიც მორბიან...

ქვევით... ქვევით... მაქედან გადმოვარდა—სიკოიეს ეზოის ბოლოდან...

გამოჩნდა, ეჰა.

თავი დაუსწრეს...

უუჰ...“

(ყვირილი ხან მატულობს ხან მიწყნარდება. ხან გამოურკვეველი ღრიანცელი ისმის).

სიკო (გაიგონებს თუ არა ხმაურობას, მაშინვე ხელს გაუშვებს დედას). ჰააჰ, ღმერთო ჩემო?.. ა? (ერთ წუთს დგას უძრავად, ხელები უკანკალებს. გაიქცევა, მაგრამ უცებ ჩაიკეცება, ისევ წამოიწევა, მაგრამ ისევ ჩაიკეცება). აჰ, ფატი, ჩემი ფატი?.. გადავარდაო ვინ, ვინ?..

სალიხე. აფერია, ნენავ, შვილო... ნუ გეშინია, ნენავ შვილო... აფერი არაა... ვაიმე, რაღათ მინდა რამე?..

სიკო (ყურადღებას არ აქცევს). დაწყნარდენ... (ისევ ისმის გამოურკვეველი ხმაურობა) არა... არა, ყვირიან... ფატი?.. რა ვქენი?.. (გაჩერებულია ერთ ადგილას. ვერ იძვრის. ბილიკზე გამოჩნდებიან გლეხები; დასველებული არიან: სიკო დაინახავს და მირბის იმათკენ, მაგრამ ეცემა, წამოიწევა და ფორხილით და ტორტმანით მიდის).

სიკო. რა ამბავია, ძმანებო ჩემ თავზე, მითხარით... მითხარით... ფატი... ჩემი ცოლი?..

ერთი გლეხი. ვაიმე, ძმაო, რომ სანუგეშოს ვერაფერს გეტყვი... მარა გამაგრდი ძმაო...

მეორე გლეხი. მთელი სოფელი დიედვა, ძმაო, მარა ვეღარაფერი უშველეთ. შენი ეზოის ბოლოში მორევში გადმუარდა... იმ სიმაღლიდან: გაღმოურებს დიენახა, ყანაში მუშაობდენ თურმე, თვარა მკვდარსაც ვერ ვნახავდით (სიკო გაქვავებული, თითქოს უაზროთ, უსმენს).

სალიხე (გლეხის ლაპარაკის დროს ირტყამს ლოყაზე ხელს და მოთქმით) ვაიმე, ვაიმე, რა გვიქნა, რა გვიქნა აი საშინელი საქმე... დედავ, დედავ, დედავ!

პირველი გლეხი. აბა, გამაგრდი სიკო, ბიჭო! ჩამოსული თუ იყავი, კი არ ვიცოდით. მოასვენებენ აგერ... (ჰკიდებს მკლავში ხელს. ხალხი შეჯგუფებული მოდის, ქალები, კაცები, ბავშვები არეულ დარეული არიან. რამდენიმე კაცს ცხედარი მოაქვს. ხალხი მოდის ჩუმად; ზოგი ფეხშიშველაა, ზოგს თოხი, წალდი და სხვა სამუშაო იარაღი უჭირავს, ქალებს და ბავშვებს ზოგს კალათები, ზოგს დოქები და სხ. მოდიან ყველანი ჩუმად. აქა-იქ ქალები ქვითინებენ; სიკო გარინდებული დგას ერთ ადგილას და უყურებს).

სალიხე (გადაიძრობს ჭაღარა თავზე მოსახვევს და მოთქმით ეგებება ცხედარს) რძალო, რძალო, რეიზა ამომიგდე ოჯახი? ვაი ჩემ თავს, ვაი ჩემ თავს...

ხმები. სად დავასვენოთ, სად?

სალიხე. აქეთ, აქეთ, ოდაში... (ცხედარს მიასვენებენ ოდისაკენ, სალიხე მირბის წინდაწინ და ალაგებს აივანს. ნივთებს ხურჯინში აწყობს).

ერთი ქალი. ნენავ, ნენავ, შვილო, გენიის ცეხლო! ბალანაის პერანგი რომ უკავია ხელში.

მეორე ქალი. არა, რაცხა კი მომხთარა! აი სიკოიეც რომ მოსულა, ხედავ?

მესამე ქალი. რავა ორსულათ რომაა, ვერ დეინახეთ? ქმარის შეეშინა უთუოდ.

მეოთხე ქალი. ვაი, ვაი, ვაი უბედური! რა ქალი დეიღუპა?

სიკო (უცებ გაქანდება ყვირილით). არა, არა, ოდაში არა!.. არა მეთქი, ძმანებო, არ შეასვენოთ, მაგ საშინელ ოდაში! დაწვით მეზობლებო, ძმანებო, მაგი ოდა... მაგან დამღუპა მე... მაგი ჩემი არაა... ჩემი—ბაბუაჩემის ჯარგვალაი იყო... აქეთ, აქეთ მოასვენეთ ჩემი ცოლი, ჩემი ფატი, აქეთ ჩემს ოჯახში... ჯარგვალაში უყვარდა ყოფნა, ბაბუაიც უყვარდა... მომეცით, მომეცით... მე თვითან (მიდის ცხედართან, რომელსაც აჩერებენ, ართმევს ყველას ხელიდან და მარტოს მიჰყავს იმ ადგილს, სადაც მოხუცის „ჯარგვალაი" იდგა ასვენებს მიწაზე, ასწორებს, იჩოქებს და ჰკოცნის თავზე, ხელებზე, შუბლზე).

ერთი გლეხი. შეირყა უბედური!

მეორე გლეხი. შეირყეოდა, აბა კაი დიეყრებოდა: რა ამბავი დახთა უბედურს!

სიკო (გამოართმევს ცხედარს ბავშვის პერანგს, შლის). აჰ, ჩემი ბიჭუკელაის პერანგი! (ჰკოცნის პერანგს, ტირის და ისევ ჰკოცნის, უყურებს და ისევ ჰკოცნის).

(ხალხი ტირის, ბავშვები ქვითინებენ).

ერთი ქალი (ტირილით). მისდღემჩი მჭადი არ ჰქონებოდა საჭმელათ, და აი უბედურობა არ ენახა, არ ერჩია მაგ საცოდავს. (გაბრაზებით მიუბრუნდება ერთ გლეხს) აგიც თქვენი ამერიკა, რომ გაკერიათ ყველას პირზე, ახალგაზრდას და ბერკაცს, ფარის საშუარათ წავალ! ფარის საშუარათ წავალთო!

გლეხი (იწმენდს ცრემლებს ჩოხის კალთით). მართალი ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა.

მეორე ქალი. მაგინის ცოდვა დეიდვა სალიხემ, რაღა დროისაა; სიკეთეს უზამო და ეჰე უქნა!.. სადაა ნეტაი ახლა?

პირველი ქალი. აგერ ხიბაკს ინახავს, არა კაცმა მომპაროსო.

გლეხი. უჰ, რა როკაპია, რა გუუტეხელი!

სიკო. ჩემო ფატი, მაპატივე... მაპატივე (სდუმს, შესცქერის)... რა ვქენი, ფატი... რა ვქენი... (ეფერება ცხედარს), სახეზე უზომო მწუხარება ეხატება).

სალიხე (ათავებს ალაგებას და ფუსფუსით მორბის ძირს. სიკოს). კაი, ნენავ, შვილო, თავს ნუ მეიკლავ!.. (სიკოს არ ესმის). მეზობლებო, მომეხმარეთ, მომეხმარეთ მომიკტება ბაღანაი და რაღათ მინდა რამე... ნუ უყურებთ მაგას, წამუასვენეთ მიცვალებული ოდაში... მომეხმარეთ!.. (რამოდენიმე კაცი მიდის სიკოსთან, ჭკიდებენ ხელს, სხვები მიდიან ცხედრის ასაწევად).

ერთი გლეხი. სიკო, ბიჭო, გამაგრდი, ასე ხომ არ იქნება მინდორში დასვენებული. სახლში უნდა შევასვენოთ.

სალიხე. ნენავ, შვილო, შენ თუ თავს მეიკლავ რაღად მინდა რამე, რაღათ მინდა აი ქონება, აი სიმდიდრე?

სიკო (უცებ გამოერკვევა). სიმდიდრე?! სიმდიდრე?! სადაა სიმდიდრე? აჰა ჩემი, სიმდიდრე სადაა... მე თვითან მოვკალი... ჩემი ფატი... მარა... (უცებ წამოვარდება, თითქოს რაღაც მოაგონდაო, ამოიღებს ჯიბიდან ასანთს და ოდაში შეირბენს. სალიხე ჯდება შორიახლოს და მოთქმით ტირის. ხალხში შეწუხებული მითქმა-მოთქმაა, უცებ ოდაში იფეთქებს ცეცხლის ალი).

ხმები. არიქა, უშველეთ! ჩააქრეთ! შეი ოყა საწყალი

სალიხე. დეგილუპე, დეგილუპე! (ადგება და დგას ფერწასული, გაქვავებული, ხალხი გაექანება ცეცხლის ჩასაქრობად. ხმაურობა და ჩოჩქოლია).

სიკო (კიბეზე გადმოდგება და ყვირის). არ დეიძრათ ძმანებო, მეზობლებო... არ დეიძრათ!.. (ხალხი ჩერდება) დეიწვას! მე თვითან გევილარიბე თავი, თვითან, ჩემი ხელით მევისპე ნამდვილი სიმდიდრე! მოვკალი ცოლი და ბაღანაი, იგინი ვინც ყველაზე და ყორიფელზე უფრო მიყვარდა ქვეყანაზე... ვერ დავმარხე მოხუცებული ბაბუაი!.. ოჰ,

რეიზა დამანებეთ, ძმანებო, რეიზა გამიშვით?.. სახლი გენანებიან! ხეი? ნუ გენანებიან, ნუ! მე დამინანეთ, მე? რომ ჩემივე ხელით დევიღუპე თავი... (ინგრევა კედელი, მირბის ცხედართან) ჩემო ფატი! ჩემო საყვარელო, ხედავ, დეინგრა, დეინგრა, (გულამოსკვნილი ტირის) ჰა-ჰა-ჰა!

1908. წ.

ფ ა რ დ ა

სალიხე და ჯუფაი

რესპუბლიკის სახალხო არტისტები

ც. წუწუნავა და ელ. ჩერქეზიშვილი

კინოსურათიდან „უაილდ ვესტის მხედარი“

ვინ არის დამნაშავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი სასახელო მწერალი ქალის, ნინო ნაკაშიძის პიესას „ვინ არის დამნაშავე“ ქართულს დრამატურგიაში უსათუოდ უჭირავს მეტად თვალსაჩინო ადგილი.

ეს კი იმისათვის, რომ თითქო სადა, მაგრამ დიდის ოსტატობით აქვს გადმოცემული თავის პიესაში მეცხრამეტე საუკუნის გლეხთა ყოფა-ცხოვრება გურიისა და თქვენ კითხვის დროსაც და სცენაზედაც გრძნობთ, რომ ავტორი ძალიან კარგად იცნობს მაშინდელი ცხოვრების ვითარებას და დიდის დაკვირვებითაც აქვს იგი გადმოცემული.

უმთავრესად კი აქ ასახულია ერთის მხრით ძველი, მეტად მომჭირნე, მესაკუთრე ქალის შეუვალი ხასიათი, რომელსაც გარდა მისი ოჯახის ნივთიერი მოღონიერებისა, შეძენისა სხვა არაფერი არ იტაცებს და არც კი ესმის, ადამიანთა გულთან და სულთან როგორი, უფრო ადამიანური კავშირი უნდა ჰქონდეს.

მეორე მხრით პიესაში ჩვენ ვხედავთ მეტად სიმპატიურ არსებას, ნაზი გულის პატრონს, სალიხეს რძალს ფატის. ეს ხომ ძველი დროის უუფლებო ქალია, დამორჩილებული დუხჭირი ოჯახის ტრადიციებს და მთელი მისი ცხოვრება წარმოადგენს პასიურს, მაგრამ მაინც მძლავრ პროტესტს არსებულ სულის შემხუთველ ზნე-ჩვეულებისა და ადათების წინააღმდეგ. იგი ფართხალებს, როგორც გალიაში ჩამწყვდეული უცხო ჩიტი, გალობს თავის საგალობელს მომხიბლავად, მაგრამ გამოსავალი ვერ უპოვნია და იღუპება ამ გალიაში.

ესენი არიან მთავარი წარმომადგენელნი წინანდელ ოჯახში ძველისა და ახალი თაობისა და ორთავენი დიდის დამაჯერებლობით არიან ავტორის მიერ ასახულნი.

მაგრამ არა ნაკლებ დამაჯერებლობით არიან მოცემულნი სხვა პერსონაჟებიც პიესისა: სიკო, არსენა და ყარამანი.

და განსაკუთრებით სიკოს პაპა, ყრუ და უსინათლო მოხუცი. მისი წინადგრძნობა, რომ მისი შვილისშვილის წასვლა ამერიკაში ოჯახს სიკეთეს არ მოუტანს, ძალიან კარგად აქვს ავტორს გადმოცემული. აგრეთვე მოხუცის დამოკიდებულება ფატისადმი. რამდენი

სინაზე და გულის სითბოა ამ ორთა შუა. საერთოდ კი ავტორს თითქოსა სურს, რომ მოხუცი ხალხის სიბრძნის გამომთქმელი იყოს გარშემო, ლუკმა პურისათვის, ასე ვთქვათ, მგლურად მებრძოლ ხალხს შორის. ავტორმა იცის რომ ეს სიბრძნე პოტენციალად ხალხშია ჩამარხული. საწყისები საუკეთესო ადამიანური თვისებებისა ხალხს მუდამ თან ახლავს, მხოლოდ მას უნდა მიეცეს საშუალება, რომ გამომზეურდეს, გაიშალოს, განვითარდეს და ქვეყნად დაამყაროს საუკეთესო წესი, რიგი ცხოვრებისა. სიკოს პაპა ასეთი ხალხური საწყისების მატარებელია და ეს კარგად აქვს შენიშნული ავტორს.

საერთოდ პიესა დაწერილია დრამატურგიულად დიაღ, ჩინებულად. თუ არა ვცდები, ეს პირველი პიესაა სასიქადულო ნინოსი და ამ პირველსავე პიესაში მან გამოამჟღავნა სათანადო და მაღალი ცოდნა დრამატურგიული კანონებისა.

აიღეთ თუნდა ეგრეთ წოდებული ექსპოზიცია ნაწარმოებისა. ფარდა აიხდება და რაღაც ერთი-ორი წუთის შემდეგ თქვენ უკვე გრძნობთ, არამც თუ ოჯახის წევრების ერთი მეორისადმი დამოკიდებულების და ვინაობის ვითარებას, არამედ იმასაც რომ ამ ოჯახის თავზე თითქოს შავი ღრუბლები იკრიბება და თქვენი გულისყური უკვე დაპყრობილია და გინდათ გაიგოთ, რა მოხდება, რა იქნება. მერმე კიდევ ეს ისეთ რეალურ პირობებში, სოფლის თითქოს იდილიურ მყუდროებაში, რომ თქვენ თეატრში აღაიც კი გრძნობთ თავს.

ასეთი დაწყება პიესისა კი, მოგეხსენებათ, რომ ითვლება საუკეთესო ხერხად დრამატურგიაში.

შემდეგ კი, წესისამებრ, თანდათან ვითარდება მოქმედება. არსად არ ეშვება, არსად არც ერთი ყალბი სცენა, ვითომდა სიუჟეტის წინ წასაწევად. ყოველივე ბუნებრივად და კანონზომიერად მიდის, სანამ არ მიაღწევს კატასტროფის მწვერვალს, როდესაც თქვენ უკვე მიხვდებით, რომ თქვენ წინ გაიარა ჩვენი ხალხის ერთ-ერთმა დიდმა ტრაგედიამ, რომ ესეთი ცხოვრება ყოფილა სულის შემხუთველი, რომ აქ არსად არ ჰბერავს თავისუფლების მანუგეშებელი ნიავი.

და რომ... ასე ცხოვრება შეუძლებელია.

ეს უკვე დიდი ამბავი იყო იმ დროს, ცარიზმის ცენზურის პირობებში, გაბედული ხმის ამოღება არსებული წესწყობილების წინააღმდეგ, რომელთაც შექმნეს უკმეხი სალიხე, უნიათო სიკო, უუფლებო ფატი და სხვა. აქ უკვე საასკაროზე იყო გამოყვანილი თუ „ვინ არის დამნაშავე“ ანუ უკეთ „ვინ იყო“? ეს იყო მაშინდელი წესწყობილება.

ავტორმა გაიმარჯვა. შეუპოვრად ამოიღო ხმა და თითქო ცხოვრების დიდ სარკეში ჩაგვახედა ყველა.

ამ პიესას მაშინ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა და მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი ღირსება, როგორც ამსახველს უწყებულ დროის ვითარებისას და როგორც მეტად მწყობრად, დრამატურგიულად საუცხოოდ გამართულ პიესას.

ეს ნაწარმოები ღირსია არამც თუ რამდენჯერმე გამოცემისა, არამედ ის უნდა ირიცხებოდეს ჩვენი დიდი თეატრების „ოქროს ფონდში", როგორც ერთი საგანძურთაგანი და დროგამოშვებით იდგმებოდეს ისე, როგორც სხვა თეატრებში შემონახული აქვთ ცნობილი ავტორების ღირსეული ნაწარმოებები.

აქვე არ შეიძლება არ მოვიხსენიო, რომ ამ პიესის გარშემო ამ სტრიქონების დამწერიც, ცოტა არ იყოს, სიამაყესა გრძნობს, რადგანაც პირველად მას მოუხდა „ვინ არის დამნაშავე"-ს დადგმა ქალაქ ბათუმში, სადაც მაშინ „მოგზაური" დასი მუშაობდა. მთავარ როლებს ასრულებდნენ: სალიხეს—აწ განსვენებული მსახიობი ქალი, ეველინა წუწუნავა, ფატისას—ელო ანდრონიკაშვილი, ამ ჟამად რესპუბლ. დამსახურებული არტისტი, სიკოსას—შალვა დადიანი, არსენას—ანდრო მურუსიძე, ამ ჟამად რესპ. დამსახ. არტისტი და სხვა. სხვათაშორის მოხუც ბებია-ქალს, ჯუფანას ასრულებდა —ცეცილია წუწუნავა, ამ ჟამად რესპ. სახალხო არტისტი.

პიესამ და შესრულებამაც, ვიტყვი თამამად, დიდი შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებასა და პრესაში. ასე რომ პიესა იმავე შემადგენლობით თბილისში იქნა განმეორებული და აქაც ისეთივე მოწონება დაიმსახურა. ამას შემდეგ ხომ ამ პიესას საუცხოოდ დგამდა, ცნობილი რეჟისორი, ამ ჟამად რესპ. სახალხო არტისტი ალ. წუწუნავა და ფატის როლს ისეთი საუცხოო შემსრულებელი გაუჩნდა, როგორიც ქართველი საზოგადოების საყვარელი არტისტი ვერიკო ანჯაფარიძეა. აგრეთვე დაუვიწყარია ამ პიესაში რესპ. სახალხო არტისტი ა. ჟორჟოლიანის მიერ შესრულებული ყარამანის როლი.

ალ. წუწუნავამ ხომ შემდეგში ამ პიესის საფუძველზე გადაიღო უკვე სახელმოხვეჭილი კინო სურათი „უაილდ ვესტის მხედარის" სახელწოდებით, რომელშიაც საუცხოო ფატი იყო ცნობილი კინო-არტისტი ნატა ვაჩნაძე, სალიხე ცეცილია წუწუნავა, სიკო—კ. მიქაბერიძე, ჯუფანა—ელ. ჩერქეზიშვილი და სხვა, რომელთა სურათებიც ამავე წიგნში თავსდება.

შალვა დადიანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ან. თევზაძე

ტექრედაქტორი ნ. კაკუშაძე

კორექტორი ნ. ტერელაძე

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომც. საქმეთა სამმართველოს სტამბა № 2,
ფურცელაძის ქ. № 5

უე10360. ტირაჟი—4400. შეკვეთა № 1228.

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
K 17.348/2